პროფესიულიგანათლება

N1(4)'22

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

UNDP



გახდი პროფესიონალი



ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა იწყება ამ ნაბიჯით!

HTTPS://VET.GE/GE

შინაარსი

2 ნინო ელბაქიძე
რას ვსწავლობთ წარმატებული ქვეყნებისგან

3 პროფესიული უნარების სააგენტო წარმოგიდგენთ
შორენა ტყეშელაშვილი
პროფესიული უნარების სააგენტოს მიზნები და ამოცანები

10 განათლების ინტერნაციონალიზაცია
ნატო ინგოროყვა
ნასტასია არაბული
ჰოლანდიის განათლების სისტემის განსაკუთრებულობა
ინტერვიუ ნიკოლოზ მესხიშვილთან

14 საერთაშორისო თანამშრომლობა
შვეიცარიის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ღონისძიებები საქართველოს პროფესიული განათლების განვითარებისთვის
ინტერვიუ ელენე ცხაკაიასთან

19 საერთაშორისო სტანდარტები
თეა გულუა
AKIS ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების სტანდარტები სოფლის მეურნეობის მიმართულებით

23 გაიცანი პროფესია
გაიცანი პროფესია: მეტყევეობა
ნათია იორდანიშვილთან ერთად

27 პროფესიული კოლეჯი
შორენა ტყეშელაშვილი
კოლეჯი „იბერია“ – პროფესიული განათლების კერა იმერეთის რეგიონში
ინტერვიუ ირაკლი ავალიანთან

29 პროფესიული განათლების მასწავლებელი
ნასტასია არაბული
გაიცანი პროფესია ვეტერინარია – მოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადი პროფესია, რომელშიც მთავარი საქმის და ცხოველების სიყვარულია

31 პროფესიულის სტუდენტი
შორენა ტყეშელაშვილი
ვეტერინარობაზე მეოცნებე თათია მურღუევი – ხევსურეთიდან შვეიცარიულ აგრარულ სკოლაში

35 პროფესია და შრომის ბაზარი
შორენა ტყეშელაშვილი
ექთნები პროფესიულ განათლებაში – გამოწვევები და პერსპექტივები

კონკურსი
კულინარიული კონკურსი და რჩეული კონკურსანტები

პროფესიულიგანათლება

N1(4)·22

ჟურნალი „პროფესიული განათლება“ გამოიცემა ფერმერთა ასოციაციისა და გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის მთავრობის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ჟურნალის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს UNDP-სა და შვეიცარიის მთავრობის თვალსაზრისს.

მთავარი რედაქტორი
ნატალია ინგოროყვა

დიზაინერი
ბესიკ დანელია

სტილის რედაქტორი
ირმა ტაველიძე

ფოტოგრაფია
ირმა გაჩეჩილაძე

ლოგოს დიზაინი
მარიამ ელიზბარაშვილი

სარედაქციო კოლეგია

ნინო ელბაქიძე – სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი

ნიკოლოზ მესხიშვილი – ფერმერთა ასოციაცია საგანმანათლებლო პროგრამების ოფიცერი

თამარ ქიტიაშვილი – განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე

გიორგი ნანობაშვილი – გაეროს განვითარების ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელი

თეა გულუა – გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი

გიორგი პერტაია – სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტი

გამოქვეყნებული მასალები არის ჟურნალ „პროფესიული განათლების“ ინტელექტუალური საკუთრება და ყველა უფლება დაცულია.

გარეკანის ფოტოზე: მამუკა იმერლიშვილი, კოლეჯ „კაჭრეთის“ სტუდენტი
ფოტო: გურანდა ბენიძე, ტელემედიახელოვნების კოლეჯის სტუდენტი

ნინო ელბაქიძე

რას ვსწავლობთ წარმატებული ქვეყნებისგან

იმ ქვეყნებს, რომელთა განათლების სისტემაც განვითარებას საჭიროებს, ხშირად უჭირავთ ხოლმე თვალი სხვადასხვა წარმატებულ მოდელებზე, რადგან წარმატებული ქვეყნების ისტორიები საინტერესოა, მათ მიერ დაშვებულ შეცდომებსა და წინააღმდეგობებზე დაკვირვება საშუალებას აძლევს ამ ქვეყნებს, გაითვალისწინონ და პრევენცია გაუკეთონ მოსალოდნელ დაბრკოლებებს. მოწინავე ქვეყნების შედეგები არის ორიენტირი – როგორი შედეგები უნდა, რომ ჰქონდეს ქვეყანას, რომელიც სისტემის განვითარებაზე მუშაობს.

ჩვენ ვაკვირდებით ევროპის ქვეყნების გამოცდილებას. პროფესიული განათლების სისტემა, მაგალითად, გერმანიასა და შვეიცარიაში ათწლეულების გამოცდილებას ეყრდნობა და უფრო მეტიც, ამ სისტემას ჩანასახი საუკუნეების წინ ჰქონდა. არც პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილებაა ნაკლებად საყურადღებო: ბალტიის ქვეყნებმა მოახერხეს, პროფესიული განათლების სისტემა სრულიად კი არ შეეცვალათ, არამედ ეტაპობრივად გადაეყვანათ ევროპულ სტანდარტებზე. საერთაშორისო გამოცდილებების კვლევისას არც შორეული ავსტრალიის გამოცდილების დაკვირვებაზე ვამბობთ უარს, არც რომელიმე მეზობელი ქვეყნის მიერ გატარებულ რეფორმებს ვტოვებთ უყურადღებოდ.

ჩვენი სისტემა ცდილობს, რომ შეისწავლოს, გააანალიზოს და დანერგოს ისეთი ცვლილებები, რომლებიც წარმატების მაგალითებზეა დაფუძნებული და მაღალი შედეგების მიღწევის ალბათობას უშვებს. ნებისმიერი რეფორმა შედეგებით ფასდება და ამიტომ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გვეცოდინება, რამდენად წარმატებულია ის ცვლილებები, რომლებიც დღეს ხორციელდება.

რეფორმები, რომლებიც სხვა ქვეყანამ წარმატებით განახორციელა, თავისი წინააღმდეგობებითა და შედეგებით, ინდივიდუალურია და სრულიად განსხვავებული. ის, რაც ერთ ქვეყანაში ამგვარად მუშაობს, შესაძლებელია, მიუღებელი იყოს სხვა სისტემისათვის. ინდივიდუალურობას ბევრი ასპექტი განაპირობებს. აქ საქმე არ ეხება მხოლოდ ლოგიკურ და განვითარებაზე ორიენტირებულ, გაწერილ გეგმებს. ნებისმიერი რეფორმის განხორციელება ადამიანების მხრებზე გადადის. როდესაც წარმატებული ქვეყნების მაგალითებს განვიხილავთ უკვე მიღწეული შედეგებით, არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ შედეგებს ადამიანებმა მიაღწიეს და ჩვენ მიერ დაგეგმილმა რეფორმებმაც ადამიანების მეშვეობით და ადამიანების საკეთილდღეოდ უნდა აჩვენოს შედეგები.

რას ვსწავლობთ სხვა ქვეყნებისგან და რატომ აქვს ადამიანურ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა?

განვითარება ცვლილებას ნიშნავს. ცვლილებების მიმართ კი ადამიანებს სხვადასხვაგვარი განწყობა აქვთ. ერთნი მუდმივად სიახლეებისა და ცვლილებების ძიებაში არიან, ხოლო სხვები შიშით აკვირდებიან ცვლილებებს, სიახლეებს გადამეტებული სიფრთხილით ეკიდებიან. რეფორმის დაგეგმვის დროს გადამწყვეტია იმის გათვალისწინება, როგორ მიიღებს ამ ცვლილებას არსებული კადრები. წარმატებული რეფორმის ერთ-ერთი საიდუმლო სწორედ ადამიანების მოტივაციის გამოწვევაა ცვლილებების სასარგებლოდ.

ცვლილებების გატარებისას ორი ფაქტორი არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. პირველი არის ადამიანების ინტენსიური ინფორმირება მოსალოდნელ ცვლილებებზე, რათა მათ არ ჰქონდეთ ბუნდოვანების განცდა, რაც საბოლოოდ უმწეოდ აგრძნობინებს თავს; ხოლო მეორე – მათ მიერ დაგროვებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინტენსიური მხარდაჭერაა ცვლილებების სასარგებლოდ.

ზრდასრულთა განათლების პრინციპებს შორის ერთ-ერთი გვასწავლის: იმისათვის, რომ ზრდასრულმა განვითარება წარმატებით შეძლოს, ახალი ინფორმაცია, რომელსაც მას ვაწვდით, დაფუძნებული უნდა იყოს წინარე პროფესიულ და პირად გამოცდილებაზე.

საუკეთესო შედეგების მქონე სისტემებს წარმატებული, მოტივირებული ადამიანები ქმნიან. როდესაც შევძლებთ, რომ წარმატების მაგალითები ვაჩვენოთ სხვა ქვეყნებს, შემდეგ ჩვენს გამოცდილებას შეისწავლიან სხვა ქვეყნები და გააანალიზებენ, რა გავაკეთეთ სწორად: დავგეგმეთ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემა და რაც მთავარია, გავატარეთ ცვლილებები, რომლებიც რეფორმის განმახორციელებლების შინაგან და გარეგან მოტივაციაზე არის დაფუძნებული, რადგან ჩვენ მთავარ ჭეშმარიტებას მივაკვლიეთ:

რეფორმები განათლებაში ადამიანის კეთილდღეობისთვის ხორციელდება.

რეფორმებს განათლებაში განვითარებაზე ორიენტირებული, წარმატებული ადამიანები ახორციელებენ.

პროფესიული უნარების საკვანძო წარმოგიდგენთ მმართველ გუნდს

შორენა ტყეშელაშვილი

პროფესიული უნარების სააგენტოს მთავარი მიზანი ქვეყნის პროფესიულ განათლებაში საჯარო და კერძო პარტნიორობის ხელშესაწყობად ადამიანური კაპიტალის გაძლიერება და დასაქმების ხელშეწყობა იქნება. როგორ უპასუხებს სააგენტო კერძო სექტორის მოთხოვნებს და რა ინსტრუმენტებს გამოიყენებს მიზნების განსახორციელებლად? – ჟურნალ „პროფესიულ განათლებასთან“ სააგენტოს მმართველი გუნდის წევრები, გენერალური დირექტორი თამარ ქიტიაშვილი, სააგენტოს დირექტორის მოადგილე თამარ სამხარაძე, სხვადასხვა მიმართულების ხელმძღვანელები: დავით რაქვიაშვილი, ნინო რევიშვილი და გელა ლომიაშვილი საუბრობენ.

საზოგადოებისა და ჩვენი ჟურნალის მკითხველისთვის საინტერესოა პროფესიული უნარების სააგენტოს მიზნები. რატომ გახდა ასეთი ორგანიზაციის შექმნა აუცილებელი და რას გააკეთებს სააგენტო პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობისთვის?

თამარ ქიტიაშვილი: მსოფლიო ტენდენციაა, რომ უნარები აღარ არის მხოლოდ განათლების სისტემის ნაწილი, ვინაიდან უნარების ძალიან დინამიური ხასიათიდან და ეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე, მათ განვითარებაზე მხოლოდ განათლების სისტემა ვერ იქნება პასუხისმგებელი. პროფესიული უნარები ძალიან მრავალფეროვანია და ამიტომ საჭიროებს განსხვავებულ და განსაკუთრებულ მიდგომას. სწორედ ამის გამო სისტემებმა გლობალურად დაიწყეს ტრანსფორმირება, გადადიან უნარების ეკოსისტემებზე და გამოაქვთ ეს კომპონენტი განათლების ფორმალური სისტემიდან. რა თქმა უნდა, ჩვენც გავითვალისწინეთ ეს ტენდენცია და დავიწყეთ კვლევა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ საერთაშორისო „ტრენდია“, არამედ დავინახეთ საჭიროება მას შემდეგ, რაც პროფესიული განათლების რეფორმის პირველი ტალღა განხორციელდა. ამ რეფორმით საფუძველი ჩაეყარა ისეთ ფუნდამენტურ ცვლილებებს, როგორიც არის: კვალიფიკაციების სისტემის რეფორმა, სამართლებრივი ჩარჩოს და ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს გამართვა, მასწავლებლის კვალიფიკაციის გადამზადების სისტემატიზაცია, დაფინანსების და ჩარიცხვის წესის ცვლილება და ა.შ. მოკლედ, ბევრი ფუნდამენტური ცვლილება განხორციელდა პროფესიულ განათლებაში და ამ მიმართულებით ვვითარდებით, თუმცა გამოჩნდა, რომ ახალ რეალობაში ის სისტემა, მართვის ის მოდელი, რომელიც ჩვენ გვაქვს, არის „დაპატარავებული ტანსაცმელივით“ და ვეღარ ერგება საჭიროებებს, ვეღარ უწყობს ხელს ჩვენი სფეროს ზრდას. ამიტომ დავიწყეთ დისკუსია დაინტერესებულ მხარეებთან, თუ რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო იმისთვის, რომ საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მაგრამ უმეტესწილად ჩვენს საჭიროებებზე მორგებული მოდელი შეგვემუშავებინა. ჩატარდა კომპლექსური კვლევა, რის შედეგადაც გამოიკვეთა რამდენიმე მოდელი, ყველაზე საინტერესო, მხარეებისათვის მისაღები და ასევე დასანერგად რე-

თამარ ქიტიაშვილი.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

ალისტური კი გამოჩნდა პროფესიული უნარების სააგენტოს ახლანდელი მოდელი, რაზეც შევთანხმდით კიდეც. პროფესიული უნარების სააგენტო ინოვაციური მოვლენაა ჩვენი ქვეყნისთვის, არა მხოლოდ იმიტომ, რომ პროფესიული განათლების მართვა სხვაგვარად არის დანახული, არამედ სამართლებრივი სტატუსის თვალსაზრისითაც, ფაქტობრივად, ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში. პროფესიული უნარების სააგენტო არის ორგანიზაცია, რომლის მართვაშიც თანაბრად მონაწილეობს ექვსი მინისტრის მოადგილე მთავარი პარტნიორი სამინისტროებიდან, მათ შორის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, და ექვსი უმსხვილესი ბიზნესგაერთიანების ხელმძღვანელი. ეს მმართველობითი გადანაწილება იმასაც ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნარებთან დაკავშირებულ პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა გაუზიარა კერძო სექტორსა და ეკონომიკას, რითაც ხაზი გაესვა პროფესიული განათლების არა მხოლოდ სოციალურ ხასიათს, არამედ მის ეკონომიკურ ბუნებასაც. რასაკვირველია, პროფესიული განათლება სოციალური პოლიტიკის ნაწილიც არის, მაგრამ ის, რომ ორი სექტორი, საჯარო და კერძო, თანაბრად არის პასუხისმგებელი პოლიტიკის შექმნა-დანერგვაზე – ნამდვილად ინოვაციური მოვლენაა ჩვენს ქვეყანაში და არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, რადგან ძალიან ბევრგან ჯერ კიდევ დაუსრულებელია ეს პროცესი. ამ პროცესების წასახალისებლად მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა შექმნა უნარების აქსელერატორების ქსელი, სადაც შეჰყავს ისეთი ქვეყნები, რომლებმაც ჩვენნაირი თამამი გადაწყვეტილებები მიიღეს. ამ ქსელში ჩვენც გავწევრიანდით და პროფესიული უნარების სააგენტოს ჩვენი მოდელი აღქმულ იქნა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა.

როგორ ჩამოყალიბდა სააგენტოს სტრუქტურა, როგორ მიხვედით საბოლოო სახემდე?

თამარ სამხარაძე, პროფესიული უნარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე: სტრუქტურის ფორმირება მოხდა ფუნქციების ანალიზის საფუძველზე. ზოგადად, საკმაოდ ხანგრძლივი იყო სამუშაო პროცესი და არაერთი კვლევა ედო საფუძველად ორგანიზაციის შექმნის გადაწყვეტილებას. მხედველობაში იყო მიღებული, ერთი მხრივ, კერძო სექტორის ინტერესი და პროფესიულ განათლებაში საჯარო-კერძო ინტერესების დაბალანსების იდეა და მეორე მხრივ – უშუალოდ სამინისტროს სისტემის შიგნით ფუნქციების გადანაწილება. ხშირად, ეს ფუნქციები წინააღმდეგობრივ ასპექტებს და გარკვეულ ინტერესთა კონფლიქტებსაც ქმნიდა. აქედან გამომდინარე, ფუნქციების ანალიზის შედეგად, პირველ ეტაპზე გადაწყდა, რა ტიპის ფუნქციები და საქმიანობა უნდა გასულიყო სამინისტროდან – როგორც ცენტრალური აპარატიდან, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციებიდან. გარდა ამისა, 2018 წელს მიღებული კანონი პროფესიული განათლების შესახებ ითვალისწინებდა არაერთ საკვანძო მიდგომას, რომელთა დანერგვაც საჯარო-კერძო პარტნიორობის სრულიად განსხვავებულ ფორმატებს მოითხოვდა და ასევე - გარკვეული ფუნქციების ინსტიტუციონალიზაციას. ამ ფუნქციების მიკუთვნება ვერ მოხდებოდა სისტემის ვერც ერთი რგოლისთვის, მათი სრულიად განსხვავებული მიზნებისა და საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით. ამდენად, სააგენტოს შექმნის იდეა წლების განმავლობა-

თამარ სამხარაძე.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

ში მწიფდებოდა და კომპლექსური პროცესი იყო მისი ფუნქციების ჩამოყალიბებაც. რაც შეეხება ორგანიზაციის სტრუქტურას, გარკვეული დროით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ექსპერიმენტული სტრუქტურით ვიმუშავებთ და დავაკვირდებით, რამდენად კარგად პასუხობს ის ორგანიზაციის საქმიანობისა და განვითარების ხედვებს. ამ ეტაპზე სააგენტოში მცირე ადმინისტრაციული ერთეული და ოთხი ძირითადი გუნდია – კვალიფიკაციების განვითარებისა და პარტნიორობის გუნდი, ინსტიტუციური განვითარების გუნდი, კვლევისა და ინკლუზიური განვითარების გუნდი და სტრატეგიული კომუნიკაციების გუნდი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფუნქციები გუნდებს შორის ხისტად არ არის გადანაწილებული, პირიქით, სააგენტოში არაერთი „გამჭოლი ფუნქციაა", რომელზეც ამა თუ იმ ფორმით ყველა გუნდი მუშაობს ე.წ. მატრიცული მიდგომით. ზოგადად, ორგანიზაციის მართვის მოდელი ჰორიზონტალურია, ინერგება თანამშრომლობითი ორგანიზაციული კულტურა და ამ პროცესში ძალიან დიდი მოტივაციით არის ჩართული თითოეული თანამშრომელი.

დავით რაქვიაშვილი: პროფესიული განათლება უნიკალური ინდუსტრიაა. მისი პროდუქტი – პროფესიული უნარები უკლებლივ ყველა დარგის განვითარებაში მონაწილეობს და ხშირ შემთხვევაში საკვანძო როლს ასრულებს კონკურენტუნარიანი, მდგრადი ეკონომიკის შექმნაში.

ჯერ ჯერობით, ჩვენ ქვეყანაში უნარების ინდუსტრიის ღირებულება ჯეროვნად არ არის შეფასებული და ბიზნესის ინტერესიც მის მიმართ დაბალია, თუმცა რეალობაში პროფესიული განათლება მსხვილი,

დავით რაქვიაშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

დინამიური და პერსპექტიული საინვესტიციო სივრცეა. უნარების სააგენტოს სტრატეგიული ამოცანა კერძო სექტორის თანაავტორობით უნარების ინდუსტრიის განახლება, გამსხვილება და საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდაა.

ამ უკიდურესად მნიშვნელოვანი მისიის შესრულებაში კვალიფიკაციების და პარტნიორობის გუნდის წვლილი პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების განახლება და ინტერნაციონალიზაცია, დარგობრივი უნარების ორგანიზაციების შექმნა, კერძო-საჯარო პარტნიორობის ხელშეწყობა, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების და მიზნობრივი მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელებაში კერძო სექტორის მოზიდვა, უნარების ინდუსტრიის სასწავლო და მართვის პროცესების დიგიტალიზაცია იქნება.

მსოფლიოში მიმდინარე მეოთხე ტექნოლოგიური რევოლუცია ფუნდამენტურ, სასიკეთო ცვლილებებს იწვევს. ჩვენ გვჯერა რომ საქართველოს უნარების ინდუსტრიას აქვს პოტენციალი და ენერგია რომ გაიკეთოს ნახტომი, გახდეს ამ რევოლუციური პროცესის თანამონაწილე და გააძლიეროს საქართველოს პოზიციები პროფესიული უნარების საერთაშორისო ბაზარზე. უნარების სააგენტო ამ ურთულესი ამოცანების გადაჭრას გაზიარებული ხედვით, შემოქმედებითი მიდგომით და გამბედავი ნაბიჯებით ვგეგმავთ.

თამარ ქიტიაშვილი: ჩვენ ახალი მარეგულირებელი ჩარჩო შევიმუშავეთ რეალურ სამუშაო გარემოში უნარების გაძლიერების ალტერნატიული შესაძლებლობებისთვის და ეს ჩარჩო მორგებულია უშუალოდ დამსაქმებლის საჭიროებებზე. ყველაზე ინტენსიური ფორმა არის დუალური სწავლება, სადაც სტუდენტი პირველივე დღიდან დასაქმებულის სტატუსს იძენს კომპანიაში, გამოიმუშავებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და ამავდროულად თეორიულ კომპონენტსაც ეუფლება კოლეჯში, რის შედეგადაც ორი ან სამი წლის შემდეგ იძენს სრულ კვალიფიკაციას, იღებს დიპლომს ამ სფეროში და გადაინაცვლებს კარიერის შემდეგ საფეხურზე იმავე კომპანიაში. კომპანიას აქვს შესაძლებლობა, პირველივე დღიდან თავის წიაღში გამოზარდოს ისეთი კადრი, რომელიც მას სჭირდება. დუალური

განათლება გახლავთ მოდელი, რომელიც კომპანიებს ეხმარება ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებული გრძელვადიანი გეგმების განხორციელებაში, მომზადება-გადამზადების მოდელისგან განსხვავებით, რომელიც კადრის კვალიფიკაციის ამაღლების უფრო სწრაფ გზას წარმოადგენს და ბიზნესის მოკლევადიანი გამოწვევების დასაძლევად გამოიყენება. აქამდე არ გვქონდა ფუფუნება, რომ ასეთი მრავალფეროვანი შეთავაზება გვქონოდა, რადგან ნელ-ნელა ვითარდებოდა, პილოტირების რეჟიმში იყო სხვადასხვა მოდალობები, მათ შორის დუალური პროგრამები, ახლა კი იმდენად დიდი გამოცდილება დავაგროვეთ, რომ უკვე შეგვიძლია ფართო ასორტიმენტის შეთავაზება კერძო სექტორისთვის. ამისთვის მარეგულირებელი ჩარჩოც მოვამზადეთ და სააგენტოში არსებობს შესაბამისი გუნდი, რომელიც მხარს დაუჭერს კერძო კომპანიებს ამ პროცესებში ჩასართავად. ყველა ის კომპონენტი, რაზეც კოლეგებმა ისაუბრეს, კერძო-საჯარო პარტნიორობის კარგი საილუსტრაციო მაგალითებია, თუმცა ცალკე მდგომი პროექტებიც შეიძლება არსებობდეს და მათ ხელშესაწყობადაც მომართული იქნება სააგენტოს გუნდი. ყველა ის პროექტი, რომელიც კერძო სექტორთან ერთად წარმატებით არის განხორციელებული, განსხვავებულია. გვაქვს ასევე რამდენიმე მიმდინარე პროექტიც, მაგალითად, გურჯაანის გასტრონომიული სკოლა, ბასკეთის კულინარიის ცენტრთან ერთად. მუშავდება ასევე პროექტი ავეჯის მიმართულებით, ინჟინერიისა და წყალარინების სისტემებთან დაკავშირებითაც გვაქვს პროექტი. ცოტა ხანში გვექნება ტურიზმის საერთაშორისო კოლეჯი და ღვინის საერთაშორისო სკოლაც, რომელიც გერმანიის მთავრობის მიერ იქნება მხარდაჭერილი. კერძო-საჯარო პარტნიორობის სქემების გარეშე უბრალოდ წარმოუდგენელია ასეთი მასშტაბის სკოლების განვითარება და ასეთი პროექტების დაწყებაც კი.

ნინო რევიშვილი: სააგენტოს ინსტიტუციური მოწყობა გლობალურ გამოცდილებასაც ითვალისწინებს და ადგილობრივ საჭიროებებსაც. პროფესიული განათლება უკიდურესად კომპლექსურია, რაც ამ სფეროს მრავალფეროვნებით, მოქნილობითა და განათლების სხვა საფეხურებზე უფრო სწრაფად განვითარების შესაძლებლობით გამოიხატება. სწორედ ამიტომ, ძალიან ინოვაციური იყო სააგენტოს შექმნის იდეა, პროფესიული განათლების ასე დანახვა – რომ ის არის განათლების ნაწილი და ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული ბიზნესთან. პროფესიული განათლების ასეთი პერსპექტივით აღქმა სულაც არ ამცირებს ამ სექტორში სწავლისა და სწავლების როლს, არამედ იმ უსაზღვრო შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას გვაძლევს, რაც მას პოტენციურად აქვს. პროფესიული განათლების პოლიტიკაში ყველაზე მთავარი არის ინოვაცია და ინოვაციურობაც არ არის უნივერსალური – ის ყველა მიმართულებით მრავალფეროვანია და ამ მრავალფეროვნების კონკრეტულ კონტექსტში გააზრება საშუალებას მოგვცემს, რომ უკეთ განვსაზღვროთ, რა მიმართულებით უნდა დავეხმაროთ ჩვენს პროვაიდერებს, სასწავლო დაწესებულებებს.

განათლების მიმართულებით ინოვაციის მხარდაჭერა ჩვენი გუნდის მთავარი ამოცანაა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ ღირებულებების და შესაძლებლობების კარგად გაცნობა სასწავლო დაწესებულებებისთვის, რაც გულისხმობს ახალი სამეწარმეო ეკოსისტემის ჩამოყალიბებას. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ღირებულებების დონეზე ცვლილებები ყველაზე გვიან ხორციელდება, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია კომპლექსური, გუნდური მუშაობა, სასწავლო დაწესებულებების თანმიმდევრული და მუდმივი დახმარება. ჩვენთვის ღირებულია არა მზა პროექტების და საუკეთესო პრაქტიკების მიწოდება სასწავლებლებისთვის, არამედ მათთან ერთად მუშაობა, მათთვის მორგებული შესაძლებლობების პოვნა და მუდმივი ევოლუცია. ასეთი მიდგომა უფრო მეტ დროს მოითხოვს, მაგრამ ამ ეტაპზე, როდესაც პროფესიული სასწავლებლები მართვის ახალ სისტემას აგებენ, კარგად დაგეგმილ და განხორციელებულ პროცესს არანაკლები ღირებულება აქვს, ვიდრე მყისიერ წარმატებას.

ნინო რევიშვილი.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

ინიციატივების და მიმართულებების დონეზე რომ გამოვყოთ აქ პრიორიტეტები, უნდა აღვნიშნოთ, რომ ინოვაციური სწავლება თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებას მოიაზრებს, თუმცა ეს არ გულისხმობს არსებული შინაარსის ავტომატიზებულ გაციფრულებას. ინოვაცია შეიძლება იყოს მეთოდოლოგიურიც და აი, ეს გზები ჩვენს პარტნიორებთან ერთად უნდა ვეძებოთ. მეორე მიმართულება საკვანძო კომპეტენციების სწავლების გაძლიერებაა. საკომუნიკაციო უნარები, თვითრეპრეზენტაცია, დროის მართვა – ის აუცილებელი უნარებია, რაც დარგის სიღრმისეული ცოდნაზე არანაკლებ საჭიროა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეწარმეობის კომპეტენციის განვითარება და ამ მიმართულებით მუშაობა არა მხოლოდ სტუდენტებთან, არამედ სასწავლო დაწესებულებებთანაც მოგვიწევს. გარდა ამისა, არსებითად უნდა შეიცვალოს უცხო ენების სწავლების პოლიტიკა და პრაქტიკა, რაც პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას მისცემს, მუდმივად განაახლონ დარგის ცოდნა და გააფართოონ საკუთარი უნარების გამოყენების არეალი.

ერთ-ერთი მთავარი რისკი, რაც თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობისას, ისაა, რომ მასწავლებლები, სასწავლო პროცესის ხარისხზე ყველაზე დიდი გავლენის მქონე პირები, არ არიან მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე პასუხისმგებლები. შეუძლებელია ინსტიტუციურ გაძლიერებაზე საუბარი, თუ პედაგოგები არ წარმოადგენენ სასწავლო ლიდერობის მთავარ ძალას, თუ მათ არ აქვთ მიმდინარე პროცესებზე მიკუთვნებულობის განცდა. ამ მიმართულებით განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან სასწავლო ლიდერობის ფორმირება გაცილებით რთულია, ვიდრე ცოდნისა და კომპეტენციების გადაცემა. ეს ღირებულებების ტრანსფორმაციის გზაა, რაც პროფესიული უნარების სააგენტოს მთავარ ამბიციასაც წარმოადგენს.

თამარ ქიტიაშვილი: სააგენტო სასწავლო საწარმოებსაც დაეხმარება, რომლებიც ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში. ინსტიტუციური გაძლიერება ჰოლისტური მიდგომით განხორციელდება და არა ფრაგმენტულად. რაზეც ვსაუბრობთ – რომ მიზნად ვისახავთ და ვაერთიანებთ განათლებისა და ეკონომიკის ხმებს, კერძო სექტორი შემოგვყავს ჩვენს ოპერაციებში, მართვაში და ვპასუხობთ მათ საჭიროებებს – ზუსტად იგივე მოდელი უნდა იყოს დაწესებულებების დონეზეც. უბრალოდ, უნდა მოიძებნოს შესაბამისი ფორმა. მნიშვნელოვანია, სასწავლებლებს შევუცვალოთ ღირებულებები და დავარწმუნოთ, რომ ისინი უნდა გარდაიქმნან თვითმყოფად, ძლიერ ორგანიზაციებად, რომლებზეც დადგება სისტემა და ისინი უნდა იქცნენ ქვეყანაში მთავარ აგენტებად პროფესიული განათლებისა და უნარებისა – ავტონომიურობის, შესაძლებლობების და ინსტიტუციური გაძლიერებით, რომელიც მოიცავს ყველა იმ კომპონენტს, რაზეც ნინო საუბრობდა. ეს კომპონენტებია: ინოვაციური სწავლება, ძლიერი მასწავლებელი, განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის ეკოსისტემა და ა.შ. ამ სისტემურმა კომპონენტებმა უნდა შექმნას ძლიერი დაწესებულება, მათმა ერთობლიობამ უნდა უზრუნველყოს ხარისხი. შეუძლებელია, ცენტრალურად დაიგეგმოს ყველა რეგიონის, ყველა სასწავლებლის განვითარების გეგმა, მათი კონტაქტები, შეუძლებელია, დაეხმარო და დააკავშირო კერძო სექტორთან, იზრუნო მათი მასწავლებლების განვითარებაზე და ა.შ. ძალიან მოძველებული ხედვაა, როცა ცენტრალიზებულად ხდება ამის გაკეთება და ასეთი მიდგომა განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებს აქვთ შემორჩენილი. უკვე იმდენად დარღვეულია საზღვრები, რომ შეუძლებელია, შენს ნაჭუჭში იყო ჩაკეტილი საქართველოში, იკვლიო, შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა გამოხმაურება როგორია, რა უნარები, რამდენი კალატოზი და შემდუღებელია საჭირო და ამას მოერგოს მთელი სისტემა. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ჩარჩოების გარეთ და უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს სამყარო დიგიტალიზაციის პროცესშია. ჩვენ გლობალურ გამოწვევებზე უნდა ვიფიქროთ და მათ საპასუხო პოლიტიკას უნდა ვსახავდეთ ყოველდღიურად, რადგან სხვანაირად, უბრალოდ, დიდ ცვლილებას ვერ განვახორციელებთ.

დავით რაქვიაშვილი: ინსტიტუციური გაძლიერება საბოლოოდ მოგვცემს იმ შედეგს, რომ პროფესიული განათლება გახდება საექსპორტო პროდუქტი. შესაძლოა, ეს გეგმა ახლა ამბიციურად ჩანდეს, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს კოლეჯები გაყიდიან პროფესიული განათლების პროდუქტს რეგიონში და რომ სავსებით შესაძლებელია, სხვა ქვეყნებიდანაც ჩამოვიდნენ საქართველოში სასწავლებლად.

გელა ლომიაშვილი: კვლევისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების განვითარების გუნდს პროფესიული განათლების განვითარების მიზნებისთვის აქვს ორი მნიშვნელოვანი ფოკუსი: პირველი – პროფესიული განათლების განვითარება დაეფუძნოს ემპირიულ მო-

ნაცემებს, რათა განათლების აღნიშნული საფეხურის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიღებულ იქნას მტკიცებულებებზე დაფუძნებით; და მეორე – პროფესიული განათლება გახდეს უფრო ხელმისაწვდომი, ინკლუზიური და ჯგუფების/ინდივიდების საჭიროებებზე მორგებული. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლების განვითარების თითოეულ ეტაპზე სისტემა ცდილობდა, დაყრდნობოდა კვლევით მონაცემებს, პროფესიული უნარების სააგენტოს ფარგლებში პირველი პრეცედენტია, როდესაც იქმნება კვლევითი ჯგუფი, რომელიც ფოკუსირდება კვლევებსა და ანალიტიკურ სამუშაოზე. ჯგუფის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევითი კომპეტენციების გაძლიერებას, რაც დაწესებულების ეკოსისტემების განვითარებისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ამავდროულად, როდესაც ვსაუბრობთ პროფესიული განათლების სივრცეში სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების განვითარებაზე, შეუძლებელია ეფექტური სერვისის დაგეგმვა და განხორციელება საჭიროებების კვლევის გარეშე. კვლევითი ჯგუფის საქმიანობა გამჭოლია და იკვეთება როგორც ზოგადად, პროფესიული განათლების, ისე პროფესიული უნარების სააგენტოს ყველა მიმართულებაში.

ჯგუფის საქმიანობის მეორე მიმართულების მიზანია, პროფესიული განათლება გახდეს მეტად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური და ინდივიდების/ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული. ჯგუფის აღნიშნული მიმართულება უფრო მეტად სოციალური ხასიათისაა და მიზნად ისახავს, პროფესიული

გელა ლომიაშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

საგანმანათლებლო დაწესებულება გახდეს ადგილობრივი ჰაბი, სადაც სტუდენტებს სიამოვნებთ ყოფნა, რადგან დაწესებულება მათ ფორმალურ განათლებასთან ერთად სთავაზობს მრავალმხრივ სერვისებს პიროვნული და კარიერული განვითარებისთვის.

პროფესიული უნარების სააგენტო მიზნად ისახავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების განვითარებას მრავალფეროვანი სტუდენტური და პრესტუდენტური სერვისების განვითარებისა და დანერგვის მიმართულებით. პროფესიული განათლების სფეროში პირველად კეთდება დავიწროებული ფოკუსი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისეთი მნიშვნელოვანი სერვისების განვითარებაზე, როგორიცაა ექსტრაკურიკულური და არაფორმალური განათლების სერვისები, ახალგაზრდული სერვისები და მეწარმეობრივი აქტივობები, დასაქმების ხელშეწყობის, მათ შორის, კარიერის მართვის სერვისები, ფსიქოსოციალური სერვისები და ა.შ. ამავდროულად, პროფესიული უნარების სააგენტო ორიენტირებული იქნება სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების, ეთნიკური უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების, NEETs-ების, ქალების და სხვა ჯგუფების ინტეგრირებაზე ორიენტირებული პოლიტიკის განვითარებასა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სერვისების განვითარებაზე.

თამარ ქიტიაშვილი: სააგენტოს მეოთხე გუნდში ძირითადად ორი მიმართულება ერთიანდება: ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა და სტრატეგიული კომუნიკაცია პროფესიული განათლების ირგვლივ. როცა ინტერნაციონალიზაციაზე ვსაუბრობთ, ეს მოიცავს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პოზიციონირებას საერთაშორისო ბაზარზე და სხვადასხვა ქსელსა თუ ორგანიზაციაში გაწევრიანებას, კარგი პრაქტიკისა და შედეგებისა თუ მიღწევების გაზიარებას სხვებისათვის, ასევე გულისხმობს აქტივობებს ექსპორტთან დაკავშირებით, სტუდენტური გაცვ-

ლისა და ადამიანური რესურსების გაცვლის კუთხით, დაწესებულებების მხარდაჭერას, ინსტიტუციური გაძლიერების მხარდაჭერას საერთაშორისო რესურსების გამოყენებით, ასევე ჩვენი ადგილობრივი ხარისხის ისე განვითარებას გამოცდილების გაზიარების გზით, რომ ჩვენი პროდუქციის ექსპორტი შევძლოთ. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს საერთაშორისო სერტიფიცირების და ჩვენი კვალიფიკაციების საერთაშორისო ბაზრებზე აღიარების კუთხით გარკვეულ მიღწევებსა და წინსვლას, რაც წარმოადგენს ჩვენს ერთ-ერთ მიზანს. ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სწორად წარმოჩენა და ბრენდირება ჩვენს ქვეყანაში და ამისთვის ავირჩიეთ სტრატეგია, რომ აქცენტი უნდა გავაკეთოთ პროფესიებზე და მათ პოპულარიზაციაზე და არა, ზოგადად, პროფესიულ განათლებაზე, თუმცა, რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაცია არ უნდა მივაწოდოთ საზოგადოებას. პირიქით, გაძლიერებული რესურსებით გვექნება კომუნიკაცია. ჩვენ ახლახან შევიმუშავეთ პროფესიული განათლების სტრატეგია 2022-2027 წლებისთვის და პარტნიორებთან ერთად ამ სტრატეგიის განხორციელება იქნება სააგენტოს ფუნქცია.

ნიკოლოზ მესხიშვილი, სტრატეგიული კომუნიკაციის გუნდის ხელმძღვანელი: სტრატეგიული კომუნიკაციის გუნდის საქმიანობა მრავალფუნქციურია და ითვალისწინებს პროფესიული განათლების რეფორმის ახალ ეტაპზე, საჯარო-კერძო პარტნიორობის განახლებულ ფორმატში დაინტერესებული მხარეებისთვის ქმედითი და ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმების დახვეწას. პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზაციის პროცესში, ჩვენი გუნდი ორიენტირებულია ინფორმაციის სხვადასხვა არხებით უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებს შორის ეფექტური კოორდინაცია.

ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა პროფესიული განათლების პოპულარიზაციით კერძო სექტორის დაინტერესება და თანამშრომლობის განახლებულ ფორმატში შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისთვის მათი სტიმულირება. ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესის გაძლიერება ახალი პროფესიების, დასაქმებისა თუ თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სერვისების მიმართ. შესაბამისად, სტრატეგიული კომუნიკაციის გუნდის მიერ სარეკლამო კამპანიების ორგანიზება ხელს შეუწყობს როგორც ბიზნეს სუბიექტების და მოკიდებულების, ისე მოსახლეობის განწყობის შეცვლას, რაც ეტაპობრივად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების იმიჯის ფორმირებას.

მაშინ, როცა პროფესიული განათლების მიმზიდველობაზე ვსაუბრობთ, დამეთანხმებით, ასევე მნიშვნელოვანია განათლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება, რაც განათლების ინტერნაციონალიზაციით, კერძოდ კი საერთაშორისო გაცვლითი, ერთობლივი პროგრამების მხარდაჭერითა და უნარების რეგიონული თუ საერთაშორისო კონკურსებით არის შესაძლებელი. აქვე აღსანიშნავია თუნდაც 2022 წლიდან Erasmus+ კომპონენტის შესაძლებლობები, რომელიც პროფესიული განათლების სისტემის წარმომადგენლებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, ჩაერთონ ინტერნაციონალიზაციის პროცესში, დაგროვონ საუკეთესო ევროპული გამოცდილება და მოახდინონ ინოვაციური საგანმანათლებლო სერვისების ადგილობრივ დონეზე დანერგვა.

ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონტექსტში პარტნიორული ინიციატივების პროფესიულ განათლებაში ადაპტაცია ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საქმიანობაა, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილობას, მათი შესაძლებლობების გაძლიერებას, ადამიანური კაპიტალის განვითარებას, რაც თავისთავად აისახება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ნიკოლოზ მესხიშვილი
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

განათლების ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვანია

ნატო ინგოროყვა, ნასტასია პრაბული

ჟურნალ „პროფესიული განათლების“ კითხვებს პასუხობს ნიკოლოზ მესხიშვილი, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პროფესიული განათლების ოფიცერი; პროფესიული უნარების სააგენტოს სტრატეგიული კომუნიკაციების გუნდის ლიდერი.

ბატონო ნიკოლოზ, ცოტა ხნის წინ სასწავლო ტურით იმყოფებოდით ნიდერლანდებში. რა მიზანი ჰქონდა ამ სასწავლო ტურს თქვენთვის და იმ ჯგუფისთვის, რომელთან ერთადაც იყავით? როგორი იყო თქვენი მოლოდინი გამგზავრებამდე და როგორია თქვენი შთაბეჭდილებები დაბრუნების შემდეგ?

– სასწავლო ტური განხორციელდა პროექტის „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება“ ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაწილეობით და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) კოორდინაციით. პროექტი 2016 წელს დაიწყო და ითვალისწინებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე, სოფლის მეურნეობაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მიდგომის დანერგვას, პროფესიული პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას საქართველოს რეგიონებში.

დუალური სწავლება დიდი პოპულარობით სარგებლობს ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები... სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მოდელი პროფესიული განათლების საფეხურზე წარმოადგენს სასწავლო პროცესს, რომელიც აერთიანებს თეორიულ სწავლებას და ინტენსიურ პრაქტიკულ სამუშაო პროცესებს და სრულდება პროფესიული სტუდენტისთვის სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომის მინიჭებით.

საქართველოში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის შემდგომ ეტაპზე, განხორციელებული აქტივობების პარალელურად, გვქონდა კარგი შესაძლებლობა, პროექტში ჩართული მხარეების მცირე ჯგუფის მონაწილეობით მოგვეწყო სასწავლო ტური ნიდერლანდებში, რაც პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის კუთხით მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს. შესაბამისად, სასწავლო ტურის მიზანი იყო, სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში ჩართული ინსტრუქტორების, მასწავლებლების და სტუდენტების სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, განათლების და სოფლის მეურნეობის საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა და ადგილობრივ დონეზე მიღებული ინფორმაციის გაზიარება. რაც შეეხება მოლოდინს, იმის გათვალისწინებით, რომ ნიდერლანდებში დავამთავრე სამაგისტრო პროგრამა და გამოცდილებაც მივიღე „სტენდენის“ უნივერსიტეტში, ჰოლანდიელ კოლეგებთან ერთობლივად დაგეგმილმა ვიზიტმა ჩემს მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა.

ტურის ორგანიზება, ჩვენს ჰოლანდიელ პარტნიორებთან ერთად, შევძელით იმგვარად, რომ სასწავლებელში სტუდენტები ხვდებოდნენ სტუდენტებს, მასწავლებლებისა და კომპანიების წარმომადგენლებიც ერთმანეთს ხვდებოდნენ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების-

თვის. ტური იმით იყო საინტერესო, რომ ყველა მხარე იღებდა მისთვის საინტერესო და საჭირო ინფორმაციას.

ვესტუმრეთ იუვერტას სასწავლებელს, სადაც გავეცანით სასწავლებლის პროგრამულ, ინფრასტრუქტურულ, პარტნიორულ შესაძლებლობებს. ვნახეთ, ცნობიერების ამაღლების მხრივ რას აკეთებს ეს სასწავლებელი. ასევე ვიყავით „ჰასის“ უნივერსიტეტში, სადაც გამოყენებითი მეცნიერების კუთხით დავანახეთ მასწავლებლებს, კომპანიის წარმომადგენლებს და სტუდენტებს, როგორ მუშაობს ევროპული სისტემა პროფესიული განათლების შემდგომ საფეხურზეც. გვქონდა ფერმერულ მეურნეობებში ვიზიტებიც. ვნახეთ, როგორი ურთიერთობები აქვთ სასწავლო პროგრამის ფარგლებში შეგირდებსა და ინსტრუქტორებს. შევძელით, ტურში ჩაგვერთო ადგილობრივი დარგობრივი ასოციაცია სოფლის მეურნეობის კუთხით, რათა გვენახა, როგორ ხდება ასოციაციის მიერ ეროვნულ თუ რეგიონულ დონეზე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფასილიტაცია და როგორია მისი როლი როგორც პროგრამების შემუშავების, ისე განხორციელების ეტაპზე. და ბოლოს, პროგრამის დასკვნითი ნაწილი იყო ის, რომ ვიყავით ბრიუსელში, ევროპარლამენტში, სადაც ევროპარლამენტის მუშაობის სისტემას გავეცანით, შევხვდით იმ ადამიანებს, ვინც სოფლის მეურნეობის საკითხებს კურირებენ, ვინც ჩართული არიან სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის პროცესებში. ვფიქრობ, პროფესიული განათლების საფეხურზე ევროპარლამენტში საგანმანათლებლო ტიპის ვიზიტი უპრეცედენტო შესაძლებლობაა და კარგი დასაწყისი ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად.

საინტერესოა, რატომ შეარჩიეთ ნიდერლანდები?

– იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პროექტი ხელს უწყობს აგრარული პროფესიული განათლების განვითარებას საქართველოში, მნიშვნელოვანი იყო, შეგვერჩია ქვეყანა, რომელიც წარმატებულია სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ასევე გამოირჩევა ხარისხიანი განათლების სისტემით და პანდემიის პირობებში ნაკლებ შეზღუდვებს აწესებდა საქართველოს მოქალაქეებზე. შესაბამისად, შევარჩიეთ ნიდერლანდები. ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, ეს არის ქვეყანა, რომელიც სოფლის მეურნეობის მხრივ ძალიან წარმატებულია და მსოფლიოში მეორე ადგილზეა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის მხრივ. განათლების კონტექსტში კი ნიდერლანდები საინტერესოა იმ მხრივ, რომ ცოტა სხვაგვარი მიდგომა აქვს პროფესიული განათლების სისტემაში ჩვენს პარტნიორ ქვეყნებთან – გერმანიასა და შვეიცარიასთან შედარებით. კერძოდ, ნიდერლანდების პროფესიული განათლების სისტემა გერმანიისა და შვეიცარიის მოდელებისგან განსხვავდება იმითაც, რომ ნაკლებად მკაცრია დუალური სწავლებისას სტუდენტების მუშაობის პროცესში ანაზღაურების კონტექსტში, რომლის დაწესებაც კერძო სექტორის პრეროგატივაა. აღნიშნული მიდგომით კერძო სექტორის პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები უფრო მიმზიდველი ხდება. პროფესიული სტუდენტის პერსპექტივით თუ შევხედავთ, რა თქმა უნდა, ანაზღაურებადი სამუშაო სწავლის პარალელურად დამატებითი სარგებელია. შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ დუალურ მიდგომაზე, სადაც სწავლის შედეგების 50%-ზე

მეტი ხორციელდება დამსაქმებლის რეალურ სამუშაო გარემოში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი როლი კერძო სექტორს ეკისრება და მოქნილი სისტემა მეტ შესაძლებლობებს უხსნის სოფლის მეურნეობაში ჩართულ ბიზნესს – შემოვიდეს განათლების სისტემაში ნაკლებად მკაცრი ვალდებულებებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შვეიცარია, რომელიც პროფესიული განათლების „ოქროს სტანდარტად“ არის აღიარებული, კერძო სექტორის პროფესიულ განათლებაში ჩართვის და კონტრიბუციის მხრივ, უფრო მკაცრად არის ორგანიზებული და შეგირდობის პროცესში სტუდენტის შრომის უკეთესად ანაზღაურებას უზრუნველყოფს.

ზოგადად, სოფლის მეურნეობის პროფესიების მიმართ ინტერესი ევროპის ქვეყნებშიც ნელდება და ეს სფერო ნაკლებად მიმზიდველი ხდება ახალგაზრდებისთვის. აქედან გამომდინარე, პროფესიული განათლებით სტუდენტის დაინტერესება არ არის მარტივი. ნიდერლანდებში აგრარული ბიზნესის წარმომადგენლები ფიქრობენ იმაზე, თუ რა გააკეთონ იმისთვის, რომ მიიზიდონ ახალგაზრდები სოფლის მეურნეობის პროგრამებში და როგორ მიიღონ უფრო კარგი შეგირდი, რომლითაც თავიანთ საქმიანობას უკეთ განახორციელებენ, რაც საბოლოოდ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ნიდერლანდების განათლების სისტემაში პრაქტიკულ კომპონენტს – „კეთებით სწავლებას“ განსაკუთრებული ადგილი უკავია, რაც მაქსიმალურად წახალისებულია არა მხოლოდ პროფესიული განათლების საფეხურზე, არამედ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზეც გამოყენებითი მეცნიერების კონტექსტში.

აღნიშნული მიდგომა ძალიან პოპულარულია ახალგაზრდებში – თითქოს უკანა პლანზე წევს თეორიულ კომპონენტს და მეტად რთავს სტუდენტებს პრაქტიკულ სამუშაოებში. სწავლა-სწავლების პროცესიც ძირითადად ფოკუსირებულია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდოლოგიის გამოყენებაზე, რომელიც ითვლება აქტიური სწავლების პედაგოგიკად და გულისხმობს პრობლემების გადაწყვეტაზე დაფუძნებულ სწავლებას.

ამ დროს პროფესიული მასწავლებელი თითქოს პასიურ როლშია და ძალიან დიდ სივრცეს და ასპარეზს აძლევს სტუდენტებს, სტუდენტთა ჯგუფებს, რომ რეალური შემთხვევები მოიძიონ და რეალური მაგალითების საფუძველზე მოახდინონ პრობლემების იდენტიფიცირება, გადაჭრან ისინი და შექმნან ახალი მოდელები. ეს მიდგომა აქტიურად გამოიყენება როგორც პროფესიული, ისე უმაღლესი განათლების საფეხურებზე, რაც მეტად დინამიკურს ხდის სასწავლო პროცესს და აქტიურად რთავს სტუდენტებს სწავლა-სწავლებისა თუ მუშაობის პროცესში.

ვინ მონაწილეობდა, თქვენ გარდა, ამ სასწავლო ტურში?

– რადგან საქართველოში, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური პროგრამები უკვე დანერგილია აგრარულ სექტორში და ძირითადად სამი მონაწილე მხარეა - საგანმანათლებლო დაწესებულება, პროფესიული სტუდენტი და კერძო სექტორის წარმომადგენელი, სწორედ ამ მონაწილეების ჩართულობით დაკომპლექტდა სასწავლო ტურზე წამსვლელი ჯგუფი. გვინდოდა, გვენახა, ასეთი ტიპის მოდელი სხვა ქვეყანაში როგორ მუშაობს, რა მიღწევები და გამოწვევები აქვს სხვადასხვა მხარის პერსპექტივების გათვალისწინებით. პროფესიული განათლების ახალი სტრატეგიაც მაქსიმალურად ხაზს უსვამს ინტერნაციონალიზაციის როლის. ვფიქრობ, დროული იყო ასეთი ტიპის პატრნიორული ურთიერთობების დამყარება ნიდერლანდების სასწავლებლებთან.

ამ ვიზიტის დროს ხომ არ გამოკვეთილა სამომავლო თანამშრომლობის კონკრეტული ინიციატივები?

– საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის გაცნობის საფუძველზე, იუვერტას კოლეჯმა გვითხრა, რომ მიესალმებიან გაცვლითი პროგრამების დანერგვას საქართველოში. როცა გაცვლით პროგრამებზე მიდგება საქმე, უნდა ვიყოთ თვითკრიტიკულები და უნდა დავფიქრდეთ ჩვენს ძლიერ და სუსტ მხარეებზე. როცა სოფლის მეურნეობაზე ვსაუბრობთ, უნდა განვსაზღვროთ, რა არის ჩვენთან ისეთი, რამაც შეიძლება დაინტერესოს ევროპელი სტუდენტი. აქ უპირობოდ აღსანიშნავია მეღვინეობა, რადგან საქართველო, როგორც ღვინის სამშობლო, ყურძნის ჯიშების მრავალფეროვნებისა თუ ღვინის დაყენების ტრადიციული ტექნოლოგიის გათვალისწინებით, ძალიან მიმზიდველი იქნება ევროპელი სტუდენტებისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი კოლეჯების საერთო საცხოვრებელიც – ინფრასტრუქტურა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, მივიღოთ საერთაშორისო სტუდენტები. მაგალითად, კახეთში ჩვენ გვაქვს კო-

ლეჯი „აისი“, სადაც შეგვიძლია ვუ-მასპინძლოთ უცხოელ სტუდენტებს.

ასევე იყო საუბარი მასწავლებლე-ბის მობილობაზე, გადამზადების პროგრამებზე, რომლებიც შეიძლე-ბა დისტანციურად განხორციელ-დეს, ან ჰიბრიდული მოდელით. პანდემიის გათვალისწინებით, ისეთ პირობებში ვცხოვრობთ, რომ ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამა რამდენიმე ფორმატზე უნდა გაითვალოს.

ზოგადად, ევროპულ ქვეყნებში ვიზიტის დროს გამოკვეთილი სამო-მავლო თანამშრომლობის კონკრე-ტული ინიციატივები სისტემის განვი-თარების კუთხით ძალიან სასარგებ-ლოა, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი განვითარებული ქვეყ-ნის გამოცდილების გაცნობა ძალიან მნიშვნელოვანია, მისი პირდაპირ გადმოტანა პრაქტიკაში მიზანშეწო-ნილი მაინც არ არის. მნიშვნელო-ვანია სხვების გამოცდილების ჩვენს რეალობაზე ადაპტირება.

როდესაც ვსაუბრობთ საუკეთე-სო პრაქტიკის დანერგვაზე, არის მიდგომები, რომლების პირდაპირ გადმოტანაც მეტ-ნაკლებად შეიძ-ლება არსებული კვლევების გათ-ვალისწინებით, თუმცა ბევრი რამ მოითხოვს გააზრებას, სიღრმისეულ შესწავლას და ჩვენს კონტექსტზე მორგებას. ამის მაგალითად შემიძ-ლია მოვიყვანო ის ტექნოლოგიური სიახლე, რაც ნიდერლანდებში ვნა-ხეთ და რაც გულისხმობს ნიადაგის კვლევას ციფრული ტექნოლოგიით. ასეთი ტიპის ტექნოლოგიები ჩვენ-თვისაც ძალიან მნიშვნელოვანია.

არსებობს საკითხები, რომლებსაც თანამედროვე სამყარო სწავლობს: კლიმატგონივრული ტექნოლო-გიები სოფლის მეურნეობებში, მდგრადი განვითარება აგროს-ფეროში, მწვანე უნარების როლი პროფესიულ განათლებაში და ა.შ. ამ საკითხების შემოტანაც სასარ-გებლოა ჩვენს პროფესიულ პროგ-რამებში.

თქვენ თქვით, რომ სოფლის მეურნეობა ევროპის განვითა-რებულ ქვეყნებშიც აღარ არის ისეთი პოპულარული, როგორც ადრე იყო. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს სასწავლი სოფლის მეურნეობის განვითა-რებისთვის – როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება ვისწავლოთ ევ-როპელი პარტნიორებისგან?

– ზოგადად, ძალიან მნიშვნელო-ვანია განათლების ინტერნაცი-ონალიზაცია, რაც, ჩემი ხედვით, განათლების ხარისხის გაუმჯო-ბესებისა და საგანმანათლებლო პროგრამის მიმზიდველობისთვის აუცილებელია. თუ ამას სტუდენტის კონტექსტში განვიხილავთ, ინტერ-ნაციონალიზაცია სტუდენტს აძლევს საშუალებას, გაიფართოოს ხედვის არეალი არა მხოლოდ კონკრეტულ პროფესიაში, გაეცნოს სხვა კულ-ტურებს, კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები საერ-თაშორისო მოთხოვნებთან შესაბა-მისად და დაამყაროს სამომავლო პარტნიორული ურთიერთობები. ასეთი ტიპის პროგრამები პროფე-სიული სწავლებისას არის ძალიან მნიშვნელოვანი, იმისთვის, რომ სტუდენტი ეზიაროს იმ თანამედ-როვე სიახლეებსა და მიღწევებს, რაც მის სფეროში არსებობს. ეს ეხმარება ადამიანებს მეწარმე-ობის უნარების გამომუშავებაშიც. ჩვენ მუდმივად უნდა ვეძიებდეთ ახალ შესაძლებლობებს, რომლებ-საც მსოფლიო – ამ შემთხვევაში ევროპა – გვთავაზობს და უნდა ვფლობდეთ უნარებს, გამოვიყე-ნოთ ეს შესაძლებლობები და ჩვენც შევთავაზოთ მათზე მორგებული სერვისები.

საინტერესოა სასწავლო რე-სურსებიც, რომლებსაც ევროპის განვითარებული ქვეყნების პროფესიული სასწავლებლები იყენებენ.

– ჩვენთვის ძალიან კარგად არის ცნობილი ბიბლიოთეკების დადე-ბითი როლი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, თუმცა თანამედროვე სამყარო სულ უფრო ნაკლებ ინტერესს იჩენს ბეჭდური წიგნების მიმართ. ყველა უფრო ციფრულ რესურსებზე გადადის. ეს თვალშისაცემი იყო „იუვერტას“ კო-ლეჯის მაგალითზეც, სადაც გვითხ-რეს, რომ სიახლეები სტუდენტებს ძირითადად ჟურნალებიდან და გაზეთებიდან მიეწოდებათ. თუმცა აქ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომ საუბარია პროფესიულ პერიოდი-კაზე, რომელიც უფრო მოქნილია სიახლეების მიწოდებისთვის, ვიდ-რე სახელმძღვანელოები, რომლე-ბიც ასე სწრაფად არ იცვლება.

ყურადღება მიიქცია იმანაც, როგორ ავრცელებენ კოლეჯები ყოფილი სტუდენტების შესახებ ინფორმა-ციას, მარკეტინგის რა გზებს იყენე-ბენ და რამდენად ადაპტირებული და მოქნილია მათი შენობები სწავ-ლებისთვის. საინტერესო იყო და-საქმების კუთხით ერთდღიანი კონ-ტრაქტების პრაქტიკაც, რომელსაც ნიდერლანდებში არაერთი დამ-საქმებელი იყენებს. ეს კომპანიებს თვითრეკლამირების და მომავალ თანამშრომლებზე უკეთ დაკვირვე-ბის საშუალებას აძლევს, პროფესი-ული სასწავლებლების სტუდენტე-ბისთვის კი არის გზა, გამოსცადონ თავი სხვადასხვა გარემოში, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

შვეიცარიის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ღონისძიებები საქართველოს პროფესიული განათლების განვითარებისთვის

ჟურნალ „პროფესიულ განათლებასთან“ ელენე ცხაკაია, გაეროს განვითარების პროგრამის „პროფესიული განათლებისა და ექსტენციის მოდერნიზება სოფლის მეურნეობაში“ პროექტის მენეჯერი საუბრობს.

მსოფლიოში შვეიცარიის განათლების სისტემა ნომერ პირველ სტანდარტად ითვლება. ეს ქვეყანა ძალიან საინტერესო მაგალითია ჩვენი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით პროფესიული განათლებისა და სოფლის მეურნეობის კუთხით. რომელ ძირითად მიმართულებებს დაუჭირა მხარი შვეიცარიის მთავრობამ პროფესიულ განათლებაში?

– „შვეიცარიის განვითარების საგენტო“ ქართული პროფესიული განათლების სისტემის მნიშვნელოვანი მხარდამჭერია. გაეროს განვითარების პროგრამის მიერ განხორციელებული პროექტის („პროფესიული განათლებისა და ექსტენციის მოდერნიზება სოფლის მეურნეობაში“) ფარგლებში, პროფესიული განათლების სფეროში არსებული შვეიცარიულ-ქართული თანამშრომლობა თითქმის ათეულ წელს ითვლის, როგორც პროფესიული განათლების განახლებული სისტემის მაფორმირებელი ჩარჩო-პირობების შემუშავების, ასევე პროფესიული განათლების განმახორციელებელი დაწესებულებების ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების განვითარების კუთხით.

პროექტის „პროფესიული განათლებისა და ექსტენციის მოდერნიზება სოფლის მეურნეობაში“ მიზანია სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული ცოდნისა და პროფესიული უნარების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს პროდუქტიულობის ამაღლებას და ფერმერების შემოსავლებისა და დასაქმების ზრდას. ეს კი, თავის მხრივ, საქართველოს რეგიონებში მომუშავე ახალგაზრდა ფერმერების შემოსავლებისა და საარსებო წყაროების ზრდას შეუწყობს ხელს.

პროექტის ფარგლებში პროფესიული განათლების განვითარების მრავალ მიმართულებას შორის გამოვყოფდი ორ მთავარს: პირველი – ეს არის ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შემუშავება პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და მეორე – ინტეგრირებული პროგრამების დანერგვა, რამაც აღმოფხვრა საგანმანათლებლო ჩიხი და პროფესიული განათლებიდან უმაღლეს განათლებაში სწავლის გაგრძელების საშუალება გააჩინა მსურველებისათვის.

ჩვენმა პროექტმა, პროფესიული განათლებისა და ფერმერებისთვის საჭირო უნარების შეძენის ხელშეწყობის გზით, მხარი დაუჭირა პროფესიული განათლების სისტემის საკოორდინაციო ახალი პლატფორმის შემუშავებას და „პროფესიული უნარების სააგენტოს“ ჩამოყალიბებას, რომელიც საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის საჯარო და კერძო პარტნიორების უმთავრეს საკოორდინაციო უწყებას წამოადგენს. ამასთანავე ხელი შევუწყვეთ ფერმერთა ექსტენციის ჰარმონიზებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას, რომლითაც, 2021 წლის მონაცემებით, 16 200-მა ფერმერმა ისარგებლა და მათი შემოსავლები, დაახლოებით, 35%-ით არის გაზრდილი. პროექტის ფარგლებში მხარდაჭერილი ინსტიტუციონალიზებული „ფერმერთა საბჭოები“ ახდენენ ექსტენციის სერვისების პაკეტების შემუშავებას და უწყვეტ მიწოდებას საქართველოს რეგიონებში. იგულისხმება ფერმერებისთვის მოკლევადიანი კურსების მიწოდება, სამეწარმეო საქმიანობაში მხარდაჭერა, სხვადასხვა სახის საკონსულტაციო

ელენე ცხაკაია. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

მომსახურება და რჩევების მიცემა საქმიანობის მართვის მიმართულებით.

სოფლის მეურნეობის სექტორში დანერგილი 16 ახალი პროფესიული პროგრამის საშუალებით გავაძლიერეთ როგორც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობები, ასევე ფერმერებს მიეცათ საშუალება, ისარგებლონ უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების პროცესით. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მნიშვნელოვანი წილი, ცხადია, სასწავლო მასალებისა და საგანმანათლებლო რესურსების განვითარებას დაეთმო. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შემუშავებულ იქნა „კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის“ სასწავლო მოდული, რომელიც რვა პროფესიული განათლების დაწესებულების სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია.

ჩვენი პროექტის ფარგლებში გაწეული საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წამოადგენს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სისტემის შემუშავება და დანერგვა, რომელშიც კერძო სექტორი აქტიურად არის ჩართული. 2021 წელს მასში სოფლის მეურნეობის მიმართულებით ორმოცამდე სტუდენტი იყო ჩართული.

პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის გაძლიერება და შედეგებზე ორიენტირებული საჯარო-კერძო პარტნიორობის ჩამოყალიბება პროექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. „კოლეჯების განვითარების ფონდის“ ინსტრუმენტის მეშვეობით, ჩვენ შევძელით სოფლის მეურნეობაში მოკლევადიანი გადამზადების პროგრამების მხარდაჭერა და 24 საჯარო-კერძო პარტნიორობის შექმნა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამები 1500 ფერმერისა და აგრობიზნესის წარმომადგენლისათვის.

პროექტის ფარგლებში, მხარი დავუჭირეთ დმანისის მუნიციპალიტეტში (კერძოდ, სოფელ სარკინეთში) შვეიცარიული აგრარული სკოლის, „კავკასიის“ დაფუძნებას, რომელიც აკმაყოფილებს სამუშაო ძალაზე სექტორის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას და ახალგაზრდების უმუშევრობის დონის შემცირებას რეგიონებში.

პროფესიული განათლების სისტემა საქართველოში ყოველწლიურად ვითარდება, თუმცა სტუდენტების რაოდენობა, რომელთაც სურთ სკოლის საბაზო საფეხურის შემდეგ პროფესიული განათლების მიღება, მაინც საკმაოდ დაბალია. რა მექანიზმებით შეგვიძლია ამ ნიშნულის აწევა და ახალგაზრდების დაინტერესება პროფესიული განათლებით?

– მართალია, პროფესიულ განათლებაში საბაზო საფეხურიდან მოსული სტუდენტების რაოდენობა საუნივერსიტეტო სისტემაში ჩართულ ახალგაზრდებთან შედარებით ძალიან დაბალია (4%-ს არ აღემატება), მაგრამ უკანასკნელი

წლების განმავლობაში ეს მაჩვენებელი თანდათანობით იზრდება. ეს პროფესიული განათლების ხარისხისა და საზოგადოებაში მისი იმიჯის გაუმჯობესებისაკენ ერთობლივი ძალისხმევით ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მიმაჩნია, როგორც პროფესიული განათლების პოლიტიკის განმახორციელებელი უწყებების, ასევე პროფესიული განათლების სისტემის მხადამჭერი განვითარების სააგენტოებისა და კერძო სექტორის მხრიდან.

პროფესიული განათლებით ახალგაზრდების უფრო მეტად დაინტერესების საკითხი საკმაოდ კომპლექსურია და რამდენიმე მიმართულებით მუშაობას გულისხმობს – როგორც ახალგაზრდებისთვის მიმზიდველი, მოქნილი და დასაქმებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნის თვალსაზრისით, ასევე ახალგაზრდებსა და მათ მშობლებში პროფესიული განათლების შესახებ დამოკიდებულებების შესაცვლელად. სტუდენტისთვის მიმზიდველ გარემოს კი ქმნის როგორც განახლებული, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დამსაქმებლის საჭიროებებზე მორგებული პროგრამების განხორციელება, ასევე სასწავლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და სწავლებიდან დასაქმებამდე ტრანზიციის შესაძლებლობა, რაშიც კერძო სექტორთან თანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ჩემი დაკვირვებით, ჩვენს სისტემას მეტი დიალოგი სჭირდება ახალგაზრდებთან, მეტი ამბის მოყოლა და გაზიარება, თუ რამდენად წარმატებულნი არიან ადამიანები პროფესიული განათლების მიღების შემდეგ; ასევე ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, რომ ჩვენი პროფესიული განათლების განახლებული სისტემა მათ სიცოცხლის ბოლომდე სწავლის შესაძლებლობას უქმნის და რომ ეკონომიკის განვითარების ფაზებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, მათ მუდმივად ექნებათ უნარების შემდგომი განვითარების პერსპექტივა. განათლების მიღების ძირითადი მოტივაცია ხომ ახალგაზრდებისთვის კარიერული განვითარების შესაძლებლობაა, და დღეს ჩვენი პროფესიული განათლების სისტემა ამ შესაძლებლობას იძლევა, როგორც დასაქმების, ასევე შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. შესაბამისად, ჩვენი სისტემისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, ჩემი აზრით, სწორედ ამის მიწოდებაა ახალგაზრდებისთვის და ამ პროცესში კომუნიკაციის რა საშუალებებს გამოვიყენებთ – ტექნიკური მხარეა.

ახლად დაარსებულ „უნარების სააგენტოსთან“ თუ თანამშრომლობთ და რა მიმართულებების განვითარებას უჭერს მხარს თქვენი პროექტი?

– დიახ, „გაეროს განვითარების პროგრამამ“ ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი ახლად დაარსებულ „პროფესიული უნარების სააგენტოს“, რომელიც პროფესიული განათლების მართვის და პროფესიულ განათლებაში დაინტერესებული მხარეების კოორდინირების ახალ პლატფორმას წარმოადგენს საქართველოში.

სააგენტოსადმი ჩვენი მხარდაჭერა რამდენიმე ფაზად შეგვიძლია დავყოთ. თანამშრომლობის პირველი ეტაპი მოიცავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერას ე.წ. „enabling environment“-ის შესამუშავებლად, რომლის საფუძელზეც, ერთობლივი ძალისხმევით, განხორციელდა სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტისა თუ სამოქმედო გეგმის შემუშავება და ე.წ. „feasibility study”-ის განვითარება, რომელმაც გამოავლინა ახალი სააგენტოს სტრუქტურისა და პროფესიული განათლების კერძო სექტორთან კოორდინირების მექანიზმები. ამავე ეტაპზე განხორციელდა სამინისტროს სამართლებრივი მხარდაჭერა ახალი „პროფესიული განათლების კანონის“ შესაბამისად მოსამზადებელი კანონქვემდებარე აქტებისა და რეგულაციების შემუშავების კუთხით.

„გაეროს განვითარების პროგრამისა“ და „პროფესიული უნარების სააგენტოს“ თანამშრომლობის შემდგომი ეტაპი კი მოიცავს სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებებს სამი მიმართულებით. ესენია: პროფესიული განათლების დიგიტალიზაციისთვის კონცეპტუალური ბაზის მომზადება; სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მართვის სისტემის მხარდაჭერა ეროვნულ დონეზე საჯარო-კერძო პარტნიორობის საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სექტორული უნარების ორგანიზაციების სარეგისტრაციო და სასწავლო საწარმოების სტატუსის მოპოვების სისტემების ჩამოყალიბებას დაინტერესებულ მხარეებს შორის პარტნიორობის მხადაჭერის გზით. სააგენტოსთან თანამშრომლობის კიდევ ერთი არეალი მოიცავს პროფესიულ განათლებაში მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების სისტემის ჩამოყალიბებას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებზე ორიენტირებული მრავალმხრივი სერვისების განვითარების გზით.

AKIS ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების სტანდარტები სოფლის მეურნეობის მიმართულებით

თეა ვულუა

რა არის ევროპული ცოდნისა და ინფორმაციის სისტემა?

ევროპის ქვეყნებმა საუკუნის დასაწყისში დაიწყეს აგრარული ცოდნისა და ინფორმაციის სისტემის, როგორც კონცეფციის განვითარება. დაიწყეს იმისთვის, რომ აგრარული ცოდნისა და ინფორმაციის გადაცემა წარმოედგინათ, როგორც სისტემა, რომელიც აკავშირებს ადამიანებსა და ორგანიზაციებს სწავლისა და განათლების ხელშესაწყობად – სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ტექნოლოგიის, ცოდნისა და ინფორმაციის გენერირების, გაზიარებისა და გამოყენებისათვის.

და რამდენადაც ჩვენი საუკუნე სწორედ კომუნიკაციის საუკუნეა, ამდენად სხვაგვარი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სამყაროში ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და გადაცემის სწორ კავშირებსა და მეთოდებს. საამისო წინაპირობა კი იმ სურათის დანახვა და გააზრებაა, რომელსაც სისტემის სახე აქვს.

გასულ წელს ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის აგრარული პოლიტიკის ცენტრმა, ბერნის უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და სასურსათო გამოყენებით მეცნიერებათა სკოლასთან ერთად, საქართველოში პირველად ჩაატარა აგრარული ცოდნისა და ინფორმაციის სისტემის კვლევა.

რით არის გამორჩეული ეს კვლევა?

ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინფორმაციის სისტემის და მისი განვითარების პერსპექტივის უკეთ გაგებისაკენ, რომელიც ევროპულ გამოცდილებასა და პრაქტიკას დაეფუძნა. სისტემას მრავალგვარი მონაწილე ჰყავს, ასეთები არიან კერძო, საჯარო და ასევე მოგებაზე არაორიენტირებული სექტორები. მთავარი მოქმედი პირები არიან: ფერმერები, პედაგოგები, მკვლევრები, ექსპერტები, საჯარო თუ კერძო მრჩევლები. კვლევა იმითაც საინტერესოა, რომ მან საშუალება მოგვცა, ჩვენი სისტემა შეგვედარებინა ევროკავშირის ქვეყნების სისტემებთან და ღირებული გაკვეთილები მიგვეღო.

როგელი ძლიერი მხარეები აქვს დღეს სისტემას?

ზოგადად, დიდია ინტერესი, შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინფორმაციის ძლიერი სისტემა. ასევე ვთანხმდებით და ვაღიარებთ, რომ კარგად ფუნქციონირებადი ცოდნის სისტემა მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის დარგის სიძლიერისათვის. მთავრობას, დონორებთან ერთად, მიზნად აქვს დასახული, შექმნას ხელშემწყობი გარემო სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინფორმაციის სისტემის მონაწილეთა გასაძლიერებლად (მაგალითად, შეღავათიანი სესხები, სუბსიდიები ფერმერთათვის და აგროსაწარმოთათვის, პროფესიული კოლეჯების უზრუნველყოფა ინფრასტრუქტურით).

კავშირები ქვეყნის მასშტაბით. საველმწიფოს საექსტენციო სისტემა (საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები) და აგროწარმოების საშუალებათა კერძო მაღაზიები მთელი ქვეყნის მასშტაბითაა გაშლილი. შეიძლება დღეს ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქსელები კარგად ასრულებენ თავიანთ ფუნქციას, მაგრამ მათი არსებობა, განვითარების პერსპექტივით, თავისთავად მნიშვნელოვანია.

„ცვლილების ლიდერები“. სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინფორმაციის ქართული სისტემის ერთ-ერთი დიდი აქტივია ინოვაციური, უნარიანი, კარგი კავშირების მქონე და ძლიერი პიროვნებები

თეა გულუა. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

– არა მარტო კერძო სექტორში, სადაც ისინი მეტად ჩანან, არამედ მთელ სისტემაში. ზოგიერთი ჩემპიონი/ლიდერი ფერმერი, ისევე როგორც აგროსურსათის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილე რგოლები (მაგალითად, აგროწარმოების საშუალებათა მიმწოდებლები, საკვების გადამამუშავებლები) არიან ცვლილების გამომწვევნი სოფლის მეურნეობის დარგში ინოვაციების დანერგვით.

ტენდენციები დღეს. ფერმერობა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იყო დაუფასებელი. ისინი ჩამორჩენილობასა და სიღარიბესთან ასოცირდებოდა. ყველა ვხედავთ, რომ ბოლო დროს ეს დამოკიდებულება იცვლება როგორც სოფლის, ასევე ქალაქის ახალგაზრდობაში და აგრარული პროფესიები უფრო პოპულარული ხდება. ამჟამად სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ პროგრამებზე პროფესიულ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში უფრო მეტი სტუდენტი აბარებს (საქსტატი 2019). სულ უფრო მეტი ფერმერი და აგროკომპანია იყენებს წარმოების ახალ ტექნოლოგიებს (მაგალითად, წვეთოვან მორწყვას). ესეც ხელს უწყობს ახალგაზრდების მოზიდვას. გარდა ამისა, ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ქმნიან ფერმერებსა და აგრობიზნესებზე მორგებულ პროდუქტებს, რაც დაფინანსების პოტენციური წყაროა ცვლილებების პროცესში (მაგალითად, სესხების მორგება სახელმწიფოს ან დონორთა მიერ დაფინანსებულ პროექტებზე).

აგროპოლიტიკა იცვლება და ვითარდება. 2013 წლიდან საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების სისტემის შექმნა ამის დამადასტურებელია, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაერთიანება გარემოს დაცვის სამინისტროსთან მიუთითებს გარკვეულ სწრაფვაზე ინტეგრაციისაკენ. მსგავსი მოვლენა შეინიშნება კერძო სექტორშიც, სადაც წევრები უფრო აქტიურდებიან და იზრდება ჩართულობა. ეს განსაკუთრებით გამოკვეთილია სასოფლო-სამეურნეო ექსტენციაში და, გარკვეულწილად, სასოფლო-სამეურნეო პროფესიულ განათლებაშიც. ამ სფეროში განსაკუთრებული ინიციატივაა შვეიცარიული აგრარული სკოლა „კავკასია“, რომელმაც 2021 წლის შემოდგომით სტუდენტების პირველი ნაკადი მიიღო. საინტერესოა, თუ რამდენად პოპულარული და მისაბაძი გახდება ეს სკოლა და რამდენად წაახალისებს მსგავს ინიციატივებს სისტემაში.

დონორთა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით, კავშირები და კომუნიკაცია (ნაწილობრივ, კოორდინაციაც) სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინფორმაციის სისტემის მონაწილეთა შორის უმჯობესდება და ინერგება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკა. გარდა ამისა, გააქტიურდნენ ფერმერული ორგანიზაციები. ასეთი ფერმერული ორგანიზაციების რაოდენობა საკმაოდ დიდია (ქვედარგობრივი ან ქოლგა ორგანიზაციები). ისინი ძლიერდებიან და იზრდება მათი აღიარება დარგის დაინტერესებულ მხარეთა მიერ (ფერმერები, მთავრობა, დონორები). ამას უკავშირდება სწრაფვა დიგიტალიზაციისაკენ. იქმნება სულ უფრო მეტი ონლაინპლატფორმა, ვებგვერდები, ჯგუფები სოციალური მედიაში, აპლიკაციები, ვიდეოგაკვეთილები და ასე შემდეგ.

ამ ტენდენციების ფონზე ჩნდება ორი კითხვა. პირველი: რომელ გზას ირჩევს საქართველო აგრარული სექტორის სტრუქტურული განვითარების მხრივ: მეტი ფერმერი თუ დიდი ფერმები? ეს კი უკავშირდება მეორე კითხვას: რამდენად აკმაყოფილებს აგრარული ცოდნისა და ინფორმაციის სისტემა მოთხოვნებს და საჭიროებებს ცვალებადი პოლიტიკის გარემოში და ცვალებად ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ პირობებში?

მაიცანი პროფესია: მეტყევეობა ნათია იორდანიშვილთან ერთად

ქალბატონო ნათია, საქართველო მდიდარია ტყით და არაჩვეულებრივი ბუნებით. ამ ტყეს და ბუნებას კვალიფიციური მოვლა-პატრონობა სჭირდება და, შესაბამისად, კვალიფიციური კადრებიც. გთხოვთ, გვითხრათ, არის თუ არა დღეს კვალიფიციური მეტყევეების საჭიროება საქართველოში?

საქართველოს ტყე ქვეყნისთვის განსაკუთრებული ფასეულობის მქონე ბუნებრივი რესურსია, რომელიც საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40%-ს მოიცავს. მას უდიდესი ეროვნული, რეგიონული და გლობალური მნიშვნელობა აქვს. ტყე არა მხოლოდ უნიკალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას განაპირობებს, არამედ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებლისა და რესურსების უწყვეტ მიწოდებასაც, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირებას, ადამიანების კეთილდღეობას და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

ჩვენი ტყეების 98% ბუნებრივ მთის ტყეებს წარმოადგენს, რაც მათ განსაკუთრებულ მართვას მოითხოვს. სწორედ ამიტომ მეტყევეობას საქართველოში დიდი და მნიშვნელოვანი ისტორია აქვს. შესაძლოა, დღეს, სამწუხაროდ, ბევრს არ ახსოვდეს, მაგრამ აკადემიური სატყეო განათლების ისტორია ჯერ კიდევ 1921 წლიდან იწყება, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა სატყეო განყოფილება, რომელსაც ამ დროს უკვე ჰქონდა ორი დამოუკიდებელი კათედრა – ტყის მეურნეობის და მეტყევეობის. გარდა განვითარებული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერებისა, საქართველო რეგიონში გამორჩეული იყო პრაქტიკოსი მეტყევეებითაც. ფუნქციონირებდა არაერთი სატყეო ტექნიკუმი. სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მსგავსად ბევრი სექტორისა, სატყეო სექტორიც ბევრი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. მოიშალა ინსტიტუციები, პროფესიონალ მეტყევეებზე მოთხოვნა შემცირდა. ბევრმა კვალიფიციურმა მეტყევემ პროფესია შეიცვალა, ახალგაზრდები აღარ ინტერესდებოდნენ ამ პროფესიით, მოხდა თაობათა წყვეტა და შეიძლება ითქვას, რომ მივიღეთ „საკადრო შიმშილი“, რაც განსაკუთრებით მწვავე გახდა 2012 წლიდან, როდესაც საქართველოში დაიწყო ტყის მართვის მასშტაბური რეფორმა. ტყეების მდგრადი მართვა საჭიროებს ახლებურ მიდგომებს, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ სექტორში კვალიფიციური კადრების არსებობაზე, ხოლო კვალიფიციური კადრების ნაკლებობა როგორც საჯარო, ასევე კერძო და სამეცნიერო ინსტიტუტებში დღესაც მთავარი გამოწვევაა სატყეო სექტორისთვის.

პროფესიული განათლების ფარგლებში არსებობს მეტყევეობის პროფესიული პროგრამა. როგორც ვიცით, ის შემუშავდა საერთაშორისო სტანდარტებისა და ადგილობრივი საჭიროებე-

ნათია იორდანიშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

ბის გათვალისწინებით. ცოტა რამ რომ გვითხრათ პროფესიის შინაარსის შესახებ?

– პროფესიული განათლება მომავალში მეტყევეობის სფეროს განვითარების არსებითი ელემენტი იქნება, რამდენადაც თანამშრომლების უმეტესობას პროფესიული განათლება დასჭირდება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა 2016 წლიდან. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული განათლების განვითარების პროგრამის ფარგლებში შემუშავდა პროფესიული სტანდარტები მოდულური პროფესიული განათლების დანერგვის უზრუნველსაყოფად. მოგვიანებით სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიცირებით მოხდა შემუშავებული სტანდარტების და საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმიზაცია და ჩამოყალიბდა „სატყეო საქმის სპეციალისტის“ საგანმანათლებლო პროგრამა. მნიშვნელოვანია, რომ პროცესი წარიმართა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, რამაც საშუალება მოგვცა, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება გაგვეზიარებინა თავად პროგრამის ჩამოყალიბებისას, ასევე დახმარება გაგვეწია იმ პროფესიული კოლეჯებისთვის, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს, დაეწყოთ პროგრამის განხორციელება. 2017 წლიდან პროგრამა ხორციელდებოდა სამ პროფესიულ სასწავლებელში: კოლეჯ „ოპიზარში“ (ახალციხე), კოლეჯ „აისსა“ (კაჭრეთი) და ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (წინამძღვრიანთკარი). დღეისათვის სატყეო საქმის სპეციალისტის პროფესიულ პროგრამას 6 პროფესიული სასწავლებელი ახორციელებს (ქობულეთი, კოლეჯი „ახალი ტალღა“; ლაგოდეხი და კაჭრეთი, კოლეჯი „აისი“, მესტია, კოლეჯი „თეთნულდი“, წინამძღვრიანთკარი, თიანეთი, „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი“; ახალციხე, კოლეჯი „ოპიზარი“; თელავი, კოლეჯი „პრესტიჟი“). ამავდრო-

ულად, პროგრამის ავტორიზაციის პროცესში იმყოფება ახალქალაქში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჩვენ შევძელით, რომ კოლეჯებს მიეღოთ ტექნიკური დახმარება სწავლებისთვის საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფის მიმართულებით, ასევე მასწავლებელთა გადამზადებისა და პროგრამის განახლება-სრულყოფის მხრივ. რასაკვირველია, სწავლების პროცესში გამოიკვეთა ნაკლოვანებებიც და დამატებითი საჭიროებებიც. აქვე უნდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო კოლეჯებს – სწორედ მათი დამსახურებით, სწორი შეფასებებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, 2020 წელს მოხდა პროგრამის გადახედვა, განახლება და სრულყოფა. დღეს „სატყეო საქმის სპეციალისტის“ პროფესიული პროგრამა მოიცავს ყველა იმ მოდულს, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ ერთი მხრივ, მივიღოთ კარგი პრაქტიკოსი სპეციალისტი და, მეორე მხრივ, მას ჰქონდეს ცოდნა სექტორში არსებულ თანამედროვე მიდგომებსა და ტექნოლოგიებზე.

ძირითადი მოდულები მიმართულია პრაქტიკულ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებზე (ხე-ტყის დამზადება, ტყის აღდგენა-გაშენება, ტყის დაცვა მავნებელ-დაავადებებისაგან, ხანძრებისაგან და სხვა); მოიცავს ზოგად მეტყევეობას, ტყის მრავალმიზნობრივ სარგებლობას (არამერქნული რესურსები, ეკოტურიზმი). დიდი ყურადღება ექცევა უსაფრთხოებასთან, კლიმატის ცვლილებასთან, გენდერსა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

რამდენიმე კოლეჯი მუშაობს, პროგრამიდან გამომდინარე, მოკლევადიანი კურსების შემუშავება-დანერგვაზეც, რაც ასევე მნიშვნელოვანია კონკრეტული მიმართულებით კვალიფიციური კადრის სწრაფად მიღებისათვის.

გთხოვთ, მიმართოთ ჩვენს ახალგაზრდა მკითხველებს, რატომ არის ეს პროფესია საინტერესო და დასაქმების რა პერსპექტივები არსებობს ამ პროგრამის დასრულების შემდეგ?

– ხშირად ფიქრობენ, რომ მეტყევეობა მხოლოდ ნერგის დარგვა და ხის სწორად მოჭრაა; ან მეტყევე მხოლოდ ამ საქმითაა დაკავებული და ამის სწავლაც და კეთებაც ძალიან მარტივია.

მეტყევეობა ცოცხალი სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ეკოსისტემას – ტყეს სწავლობს, რომელსაც განვითარების საკუთარი კანონზომიერება აქვს და, ერთი მხრივ, ამის შესწავლა, ხოლო, მეორე მხრივ, ცოდნა – თუ როგორ, რა დროს და რა მეთოდებით ჩაერიოს ადამიანი უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია.

დღეს სექტორი რეფორმისა და განვითარების მნიშვნელოვან ფაზაშია. ყოველწლიურად იზრდება მასშტაბები, იზრდება არა მხოლოდ სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობები, არამედ ტყის მართვაში კერძო სექტორის ჩართულობა და მონაწილეობაც. შესაბამისად, ვფიქრობ, დასაქმების (მათ შორის თვითდასაქმების) მხრივ საქართველოში დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს.

პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მქონე პირები უმთავრესად საჭირო არიან ადგილობრივი (სატყეო) სამსახურებისთვის, ტყეების და დაცული ტერიტორიების კვალიფიცირებული მართვისა და სატყეო კანონმდებლობის აღსრულებისათვის, ასევე, ხე-ტყის დადგენილი წესებით დამზადებისთვის (მაგ., კერძო კომპანიები) და სატყეო-სამეურნეო ოპერაციების შესასრულებლად.

მონაწილეობა. ამავე კანონით დადგინდა ტყის მართვის ორგანოებში დასაქმებულთა მინიმალური ზღვრული ოდენობა. ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ ამ პროფესიის მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნა ყოვეწლიურად მზარდი იქნება.

თქვენი მთავარი გზავნილი მომავალ მეტყევეებს.

– მეტყევეობა ნამდვილად რთული პროფესიაა. ცოდნასთან ერთად გაცნობიერება, რომ შენ შეგიძლია იმოქმედო მომავალზე, შეინარჩუნო და გააუმჯობესო გარემო, რომლის გარეშეც უბრალოდ სიცოცხლეა შეუძლებელი, სარგებელი მოუტანო ქვეყანას, სოფელს, ადამიანებს და პლანეტასაც კი – ყველა გამოწვევის დაძლევაში დაგეხმარება. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ძალიან საინტერესო პროფესიის დაუფლებისას ყველას ექნება ამის განცდის შესაძლებლობა.

საქართველოს ტყის კოდექსმა, რომელიც სექტორის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო დოკუმენტია, სავალდებულო გახადა ტყის მართვის პროცესში მეტყევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის

უდიდეს პასუხისმგებლობასაც მოითხოვს. თითოეული დაშვებული შეცდომის გამოსწორებას შესაძლოა ათეულობით წლები დასჭირდეს, ან შეუქცევად პროცესებამდე მიგვიყვანოს. მაგრამ იმის

კოლეჯი „იბერია“ – პროფესიული განათლების კერა იმერეთის რეგიონში

შორენა ტყეშელაშვილი

კოლეჯი „იბერია“ იმერეთის რეგიონში ერთადერთი უფასო მრავალპროფილური სასწავლებელია. ის 2006 წელს ქუთაისში „მოდელირებისა და კერვის ლიცეუმის“ ბაზაზე დაარსდა. მომდევნო წლებში სასწავლო დაწესებულების შენობამ სრული რეაბილიტაცია გაიარა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვა. კოლეჯი ამზადებს სპეციალისტებს ბიზნესისა და ადმინისტრირების, წარმოება-გადამუშავების, არქიტექტურა-მშენებლობის, მომსახურება-სერვისის მიმართულებით, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით. მას თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი საერთო საცხოვრებელიც აქვს, სადაც სტუდენტებისთვის ცხოვრება უფასოა. კოლეჯი საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ამზადებს მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან სპეციალისტებს. მისი დირექტორი ირაკლი ავალიანი ჟურნალ „პროფესიულ განათლებასთან“ საუბრობს კოლეჯის მიზნებსა და სამომავლო გეგმებზე.

მოგვიყევით კოლეჯ „იბერიას“ შესახებ – როდის შეიქმნა ის და რა არის მისი ამოცანა?

– კოლეჯი „იბერია“ შეიქმნა 2006 წელს, მანამდე კი იყო იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი, ტიპური პროფესიული სასწავლებელი, რომელსაც დიდი მომხიბვლელობა ნამდვილად არ ჰქონდა და არც ახალგაზრდებისთვის იყო მიმზიდველი მაშინ პროფესიული განათლება. დღეს უკვე კოლეჯი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი რეგიონული მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის მისიას წარმოადგენს გაცნობიერებული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მქონე, მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრების აღზრდა, მათი ინდივიდუალური თავისებურებების წახალისება და განვითარების ხელშეწყობა. ჩვენს კოლეჯს აქვს რამდენიმე ადგილმდებარეობა, ორი არის ქუთაისში და ერთი არის ბაღდათში. სამივე მისამართზე მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი. ბაღდათში ვახორციელებთ პროფესიულ საკვალიფიკაციო პროგრამებს: თმის სტილისტი, სამკერვალო ხელოვნება, ელექტრიკოსი, ბუღალტერია და ა.შ. ბოლო პერიოდში დავიწყეთ სოფლის მეურნეობის პროგრამების დანერგვა. მეღვინეობის პროგრამასაც ვნერგავთ და მეღვინე გიდის პროფესიის მიმართულებითაც ვმუშაობთ. იმედი გვაქვს, ეს პროგრამაც მალე დარეგისტრირდება, გაივლის ავტორიზაციას და ჩვენც რეგიონის და მუნიციპალიტეტის საჭიროებებს მაქსიმალურად ვუპასუხებთ. მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით, თანამედროვე სტანდარტების მანქანა-დანადგარებით და იმ მოწყობილობებით, რომლებიც სჭირდებათ ჩვენს პროფესიულ სტუდენტებს და მსმენელებს იმისათვის, რომ ჰქონდეთ სრულყოფილი პრაქტიკის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს კოლეჯს აქვს საერთო საცხოვრებელი, რომელიც გათვლილია 60 პროფესიულ სტუდენტზე ქუთაისის მიმდებარე რაიონებიდან. სტუდენტებს აქვთ ყველა პირობა, იცხოვრონ თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ საერთო საცხოვრებელში და მიიღონ ხარისხიანი პროფესიული განათლება. რაც შეეხება პედაგოგებს, გვყავს ძალიან კვალიფიციური მასწავლებლები, რომლებიც რეალურ საქმეს თავადაც აკეთებენ და ცდილობენ, თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გადასცენ სტუდენტებს.

გვესაუბრეთ სასწავლო პროგრამების შესახებ – რა პროგრამებს სთავაზობს კოლეჯი პროფესიული განათლების მსურველებს და ყველაზე ხშირად რომელი მიმართულებით ინტერესდებიან სტუდენტები?

– კოლეჯში ვამზადებთ პროფესიულ სტუდენტებს სხვადასხვა მიმართულებით: ბიზნეს-ადმინისტრირება, წარმოება-გადამუშავება, არქიტექტურა-მშენებლობა, მომსახურების სერვისი და ა.შ. გვაქვს პროგრამები: კულინარიის ხელოვნება, ბუღალტრული აღრიცხვა, სარესტორნო მომსახურება, ინფორმაციის ტექნოლოგია, კომპიუტერული ქსელები და სისტემები, ელექტროობა, თმის სტილისტი, მეხილეობა/მეჩაიეობა, ხის მხატვრული დამუშავება და ა.შ. ამ პროფესიებზე ხშირია მოთხოვნა. განსაკუთრებით თვალში საცემია მოთხოვნა კულინარიის ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამაზე. ადგილობრივი კვების ობიექტები და რესტორნები ხშირად გვეხმიანებიან და გვთხოვენ, რომ გავუგზავნოთ ჩვენი პროფესიული სტუდენტები. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ამ პროგრამის დაუსაქმებელი კურსდამთავრებელი პრაქტიკულად არ გვყავს. ჩვენი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი ძალიან მაღალია. ისინი საქმდებიან პროფესიით, რომელიც ჩვენთან შეისწავლეს და ეს ძალიან საამაყოა.

რამდენად პასუხობს თქვენი კოლეჯის კურსდამთავრებულების კვალიფიკაცია შრომის ბაზრის მოთხოვნებს?

– თუ ადამიანი გამოხატავს პროფესიის დაუფლების ინტერესს, სწავლის პროცესში არ აქვს ჩავარდნები და იღებს დიპლომს,

დასაქმების მაჩვენებელი ძალიან მაღალია. ქუთაისის ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით, განსაკუთრებით ეს ეხება სტუმარმასპინძლობასთან დაკავშირებულ პროფესიებს. თუმცა სხვა პროგრამების კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი 80%-მდეა.

რა გამოწვევები გხვდებათ სწავლების პროცესში?

– ერთ-ერთი პრობლემაა, როდესაც ზოგიერთი ბიზნესი დიდად არ ინტერესდება ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარებით. ასეთ დროს კერძო სექტორი ვერ აცნობიერებს იმას, რომ საკუთარი თანამშრომლის გადამზადება მნიშვნელოვანია და პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული შემოსავლისა და კომპანიის პერსპექტივების ზრდასთან, მაგრამ ვფიქრობ, ამ მიმართულებით უნდა გავაგრძელოთ მუშაობა და კომუნიკაცია. არის შემთხვევები, როდესაც პროფესია მოთხოვნადია, მაგრამ ვერ ხერხდება კვალიფიციური კადრის მოზიდვა. ამის მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ვეტერინა-

რიის პროგრამა, სადაც კადრის შერჩევამ ძალიან დიდი დრო წაიღო. არის პროგრამები, სადაც კვალიფიციურ კადრებს ვპოულობთ, მაგრამ არსებობს სპეციალობები, სადაც კვალიფიციური კადრების მოძიება ძალიან რთულია.

რამდენი სტუდენტი მიიღო კოლეჯმა წელს და როგორი იყო პანდემიური წელი კოლეჯისთვის?

– წელს დიდი მიღება გვქონდა – 270-მდე სტუდენტი მივიღეთ. იყო ძალიან დიდი კონკურსი იმის მიუხედავად, რომ პანდემიურ გარემოში ვერ ვაწარმოეთ „კარდაკარ“ კამპანია. პანდემიის გამო ღია კარის დღეც კი ვერ მოვაწყვეთ. შემოვიფარგლეთ მხოლოდ სოციალური ქსელებით და ვებგვერდით, მაგრამ ამის მიუხედავად, ძალიან დიდი დაინტერესება იყო. კოლეჯს წელიწადში ერთი მიღება აქვს. 20 აგვისტოს დამთავრდა რეგისტრაცია და სწავლა დაიწყო ნოემბრის დასაწყისში. მომავალ წელს იმედი მაქვს, ეს პრობლემა (კორონავირუსის პანდემია) აღარ იქნება და საინფორმაციო კამპანიის უფრო ინტენსიურად წარმოების შემთხვევაში უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდება პროფესიული განათლებით.

რას ფიქრობთ პროფესიულ განათლებაზე, რატომ არის მნიშვნელოვანი ის ქვეყნის განვითარებისთვის?

– თუ განვითარებული ქვეყნების სტატისტიკას გადავხედავთ, გზა, რომელსაც ახლა ჩვენ გავდივართ, მათ დიდი ხნის წინ გაიარეს. სტატისტიკა გვეუბნება მარტივ რაღაცას – რომ ადამიანი უმაღლესი განათლების მიმართულებით მიდის იმ შემთხვევაში, თუ სურს, მეცნიერებას სიღრმისეულად დაეუფლოს. თუ ადამიანი ამ მიდრეკილების მქონე არ არის, ასეთ შემთხვევაში მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების სფერო მას აძლევს უკეთეს შანსს, რომ მიიღოს განათლება, დასაქმდეს და საკუთარი ადგილი დროულად მოძებნოს საზოგადოებაში. ვფიქრობ, პრობლემაა, როცა ძალიან ბევრი ახალგაზრდა ცდილობს, გახდეს იურისტი, ეკონომისტი, მაგრამ არ არსებობს მაჩვენებელი იმისა, რომ ამდენი იურისტი ან ეკონომისტი საჭიროა და გვაქვს თუ არა ამდენი ვაკანსია

ჯუმბერ მოგილაძე
კოლეჯ „იბერიას“ კურსდამთავრებული

2017 წლის ნოემბერში დავიწყე სწავლა კოლეჯ „იბერიაში“ სარესტორნო საქმის წარმოებაზე და ერთწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ ავიღე საერთაშორისო დიპლომი. დავიწყე მუშაობა ხარაგაულის რაიონში, სოფელ ვერტყვიჭალაში, რესტორან „მარანში“. 2018 წლის ოქტომბრის ბოლოს გადავედი რიკოთის ხეობაში, რესტორან „ხეობაში“ – მიმტანად. 2019 წლიდან დავიწყე მუშაობა ქუთაისში, რესტორან „რივერსაიდში“. ახლა უბისაში, რესტორან „მალხაზში“ ვმუშაობ ჩემი სპეციალობით და ასევე ვაგრძელებ სწავლას კოლეჯ „იბერიაში“. ჩავაბარე სარესტორნო მომსახურებაზე. მინდა, ავიმაღლო კვალიფიკაცია ამ მიმართულებით და იმედი მაქვს, აქ მიღებული განათლება დამეხმარება სურვილის ასრულებაში – გავხსნა საკუთარი რესტორანი და სასტუმრო.

ᲖᲘᲝᲠᲖᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲫᲔ

ᲙᲝᲚᲔᲯᲘ „ᲘᲑᲔᲠᲘᲐᲡ“ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ

2011 წელს დავამთავრე კოლეჯი „იბერია“, სადაც ვსწავლობდი სარესტორნო საქმეს. მიღებული მაქვს ასევე უმაღლესი განათლება. კოლეჯში რვათვიანი თეორიული კურსის შემდეგ გავიარე ოთხთვიანი პრაქტიკული კურსი რესტორანში, სადაც დავიწყე მიმტანის პოზიციიდან და ბოლოს სერვისმენეჯერის პოზიციაზეც ვიყავი. ამ დროს მევალებოდა 25 მიმტანის, სერვისის და მომსახურების ხელმძღვანელობა. კოლეჯში მიღებულმა განათლებამ და პრაქტიკულმა გამოცდილებამ მომცა შესაძლებლობა, კარგად მეკეთებინა ეს საქმე. 2019 წელს მიმიწვიეს კოლეჯ „იბერიაში“ ინსტრუქტორად, სადაც ვასწავლი პროგრამას „სერვისი და სერვირება“ და ჩემს ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას გადავცემ მომავალ თაობებს. მადლობელი ვარ კოლეჯის, რომ მომცა საშუალება, გამომევლინა ჩემი პოტენციალი და აღმჭურვა სათანადო ცოდნითა და გამოცდილებით.

ამ სპეციალობებზე. ადამიანები ცხოვრებაში ბრკოლდებიან და შემდეგ პროფესიასაც იცვლიან. პროფესიული განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის მოსურნე ადამიანებს სთავაზობს პროფესიის სწრაფად დაუფლებას და შრომის ბაზარზე მოთხოვნად კადრად ჩამოყალიბებას.

ჩვენს ქვეყანაში ძალიან დიდი ხნის მანძილზე პროფესიული განათლება არ იყო პრიორიტეტი, მაგრამ ბოლო პერიოდში ეს მიდგომა ნამდვილად შეიცვალა. ძველი ტიპის პროფესიული განათლების მექანიზმი იწყებს გარდაქმნას თანამედროვე ტიპის საგანმანათლებლო სისტემად, რაც ცხადია, დაკავშირებულია გარკვეულ დაბრკოლებებთან, დაკავშირებულია იმასთან, რომ ადამიანებს სჭირდებათ ბევრი მაგალითი და წარმატებული შემთხვევების დემონსტრირება. მაგალითად, ტურიზმი შეიძლება ისწავლებოდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშიც და პროფესიულ კოლეჯშიც. ჩვენს კოლეჯს აქვს თავისი სასტუმრო და ჩვენს პროფესიულ სტუდენტს შეუძლია პირადად დააკვირდეს გარემოს, დაინახოს, რა კონფლიქტური სიტუაცია შეიძლება წარმოიქმნას სასტუმროში, რა ტიპის დალაგების სტანდარტი არსებობს, რა ტიპის საუზმე უნდა მომზადდეს და ა.შ. ეს პრაქტიკული გამოცდილება, როცა სტუდენტი რეალურად ხედავს სამუშაოს პერსპექტივას და სტუმარ-მასპინძლობის ყოველდღიურ პროცესში აქტიურად არის ჩართული, ძალიან დიდი და ეფექტური გამოცდილებაა. ბოლო პერიოდში ძალიან თვალში საცემია სატელევიზიო კულინარიული შოუები და მათი მზარდი რეიტინგი. რამდენიმე წლის წინ კი კულინარობა სულაც არ ითვლებოდა პოპულარულ პროფესიად. წლების წინ ვინმეს რომ ეთქვა, რომ კულინარიის შესასწავლად აბარებდა კოლეჯში, არც ისე პრესტიჟულად გამოჩნდებოდა. ეს ყველაფერი იცვლება და ჩვენ ამ ცვლილებების რეჟიმში ვცხოვრობთ. ვფიქრობ, კიდევ ბევრი ცვლილებები მოხდება და ყველა დაინახავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პროფესიული განათლება ჩვენი კეთილდღეობისათვის.

მაიცანი პროფესია ვეტერინარია – მოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადი პროფესია, რომელშიც მთავარი საქმის და ცხოველების სიყვარულია

ნასტასია პრაბული

ქალბატონო მარიამ, ვეტერინარია დღეს საქართველოში ერთ-ერთი მოთხოვნადი პროფესიაა და პროფესიული კადრების დეფიციტია შრომის ბაზარზე. გთხოვთ, გვითხრათ, რომელი ბიზნესი და სად ითხოვს პროფესიონალ ვეტერინარებს და დასაქმების რა შანსები არსებობს პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებისთვის?

– ვეტერინარია დღეს მართლაც ძალიან მოთხოვნადი პროფესიაა, დაფინანსებაც გაიზარდა და დასაქმების შესაძლებლობებიც მატულობს. თავის დროზე ძალიან უჭირდა ამ დარგს. მობილური და დუალური პროფესიული კურსებიც ხელს უწყობს დარგის პოპულარიზაციას, დამსაქმებლების მხრიდან მოთხოვნაც მზარდია პროფესიონალ კადრებზე. ძალიან ბევრი მიმართულებაა, სადაც ვეტერინარს შეუძლია მუშაობა, იქნება ეს ლაბორატორიები, აფთიაქები, კერძო კლინიკები, ზოოპარკები თუ რეგიონის სამსახურები. ყველა დამსაქმებელს თავისი მოთხოვნები აქვს და კოლეჯებისა და პროფესიული სასწავლებლების მთავარი გამოწვევაც ისაა, რომ მოერგონ ბაზრის მოთხოვნებს და ის ცოდნა მისცენ სტუდენტებს, რომელიც შრომის ბაზარზე სასურველ კადრად აქცევთ. სხვანაირად ვერ დაასაქმებ კურსდამთავრებულებს.

მე, როგორც პედაგოგი, ვფიქრობ, რომ დღეს საქართველოს პროფესიულ სასწავლებლებში რა პროგრამითაც ისწავლება ვეტერინარია, ძალიან კარგი პროგრამაა და პირველ რიგში, იმის გამო, რომ დასაქმებაზე და საჭირო პრაქტიკული ცოდნის მიცემაზეა ორიენტირებული. მაგალითად, ახლა 23 სტუდენტი მყავს და აქედან 15 – უკვე დასაქმებული ვეტერინარიის კუთხით. გოგოები მაინც ძირითადად ვეტერინარულ აფთიაქებს ირჩევენ სამუშაოდ, ბიჭები რეგიონის შესაბამის სამსახურებში ახორციელებენ ცხოველების დაცვის ძირითად ღონისძიებებს. ჩვენი კურსდამთავრებულები არ არიან ექიმები, ისინი არიან ექიმების დამხმარეები.

ჩვენ გარდა, კიდევ რამდენიმე კოლეჯია, მათ შორის კახეთში, გორში, სადაც შესაძლებელია ვეტერინარიის საფუძვლიანად სწავლა. მოთხოვნა ძალიან დიდია ამ პროფესიაზე. მნიშვნელოვანია ის შესაძლებლობაც, რასაც ჩვენ ვაძლევთ სტუდენტებს არა მხოლოდ სწავლის დროს: გარდა იმისა, რომ ვეხმარებით დასაქმებაში, ყველა ის რესურსი, რაც გვაქვს – ლაბორატორია, მობილური კლინიკა თუ რაიმე სხვა შეუძლიათ სწავლის დასრულების შემდეგაც გამოიყენონ.

პროფესიული განათლების ფარგლებში არსებობს უმაღლესი პროფესიული საფეხურის ვეტერინარის პროგრამა.

მარიამ ხითარიშვილი კოლეჯ „ოპიზარის“ ვეტერინარიის მასწავლებელი და ვეტერინარიის პროფესიული სასწავლო პროგრამების ერთ-ერთი ავტორია. „ოპიზარი“ ახალციხეში მდებარეობს და ამ დროისთვის 12 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა აქვს ავტორიზებული (მათ შორის 4 დუალური).

როგორც ვიცით, ის შემუშავდა საერთაშორისო სტანდარტებისა და ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით. ასეთივე დასახელების პროფესია არსებობს უმაღლეს სასწავლებლებშიც. ამ ორ საფეხურზე ერთი და იმავე დასახელების პროფესიის მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები რომ გვითხრათ.

– ძალიან დიდი განსხვავებაა. უმაღლესი სასწავლებელი ზრდის ექიმებს, ჩვენი პროგრამა ექიმებს ვერ ზრდის. პროგრამა ამის საშუალებას არ იძლევა. ჩვენ ვზრდით ექიმის მაღალკვალიფიციურ დამხმარეებს. ეს იმას ჰგავს, კარგი ექთანი რომ გაზარდო, რომელსაც ყველა სამედიცინო მანიპულაციის გაკეთება შეუძლია უსაფრთხოდ. გვყავს ისეთი სტუდენტებიც, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებენ სწავლას. შარშან 4 სტუდენტი წავიდა უნივერსიტეტში ჩემი რეკომენდაციით.

თუ არსებობს თვითდასაქმების პერსპექტივები?

– ძალიან ბევრი შესაძლებლობა არსებობს და ამაზე ხშირად ვლაპარაკობ ჩემს სტუდენტებთან. როგორც ლექტორი, სულ ვფიქრობ, რა შესაძლებლობები არსებობს

მათთვის. მაგალითად, ვეტერინარზე, რომელსაც შეუძლია ხელოვნური განაყოფიერება, ძალიან დიდი მოთხოვნაა, ძალიან გვიჭირს ამ მიმართულებით კადრები. იმასაც კი ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით კიდევ ერთი კურსის გაკეთებაა შესაძლებელი. დღეს მთელ რეგიონში მხოლოდ ერთი ადამიანია, ვისაც ცხოველების ხელოვნური განაყოფიერება შეუძლია.

რძის საწარმოებს სულ სჭირდებათ ვეტერინარები, რომლებიც ცხოველების ჯანმრთელობას შეამოწმებენ. არსებობს წესი, რომ მასტიტიანი ცხოველის რძე არ უნდა

მარიამ ხითარიშვილი.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

იყოს საკვები პროდუქტებისთვის გამოყენებული. ჩვენს კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მასტიტზე ცხოველების გამოკვლევის სერვისი შესთავაზონ მათ და ამით დამატებითი შემოსავალი მიიღონ.

რეგიონებში, სადაც ვეტერინარი ექიმი არ არის, ჩვენს სტუდენტებს უწევთ, გააკეთონ მარტივი ქირურგიული ჩარევებიც – იქნება ეს ნახევების გაკერვა თუ ჭრილობების დამუშავება. ერთმა ჩემმა სტუდენტმა კერძო კლინიკაც გახსნა ბორჯომში, ვეტერინარულ აფთიაქთან ერთად.

რატომ არის ეს პროფესია საინტერესო და დასაქმების რა პერსპექტივები არსებობს ამ პროგრამის დასრულების შემდეგ?

– ძალიან ხშირად მეკითხებიან ხოლმე: როგორ ასაქმებ ადამიანებს? დასაქმების გასაღები არის ერთი რამ: სტუდენტს უნდა უყვარდეს ცხოველები და იცოდეს, რატომ უნდა ამ პროფესიის სწავლა. ვეტერინარიაში შემთხვევითი ადამიანები თითქმის არასოდეს მოდიან. ჩემთან სტუდენტი რომ მოდის, თითქმის ყოველთვის რაღაც განზრახვა აქვს, ან ვინმე ჰყავდა ვეტერინარი, ან იცის, სად უნდა მუშაობა. ამის მიუხედავად, ყველას ვეკითხები, უყვარს თუ არა ცხოველები – სტანდარტშიც კი გვიდევს ეს მოთხოვნა. იმხელა მადლიერება მოდის ცხოველებისგან, რომლებსაც მკურნალობ, შეუძლებელია, თუ ამას დაინახავ, მერე მოშორდე ამ სპეციალობას.

რაც დრო გადის, ასაკიც გაიზარდა ამ პროფესიაში შემომსვლელების და გეოგრაფიაც გაფართოვდა. ასე მაგალითად, კასპიდან მყავს სტუდენტი, მარნეულიდან, წალკიდან – ყველა, ვინც ასე შორიდან მოდის, გამიზნულად მოდის, იცის, რომ მის მუნიციპალიტეტში ვეტერინარის სამუშაოა ნორმალური ხელფასით და უნდა, რომ ისწავლოს და იმუშაოს. 60 წლის სტუდენტიც მყოლია – ბაზარში მუშაობდა ვეტერინარად, მერე უთხრეს, დიპლომი რომ არ გაქვს, ვეღარ იმუშავებო, მოვიდა და ისწავლა. 58 წლის სტუდენტიც მყოლია. ზოგი ფერმერი მოდის, მაინც ცხოველებთან მუშაობს და აცრებს ატარებს სხვებისთვის, დამატებით შემოსავალს იღებს, თავის ცხოველებსაც უკეთ უვლის. ფერმერებისთვის დამატებით მოკლე კურსების გაკეთებაც კი შეიძლება, იმდენად სჭირდებათ მეტი ცოდნა თავიანთი მეურნეობის უკეთ მოსავლელად.

რამდენად არსებობს ქართულენოვანი, თანამედროვე სასწავლო რესურსები ვეტერინარიაში?

– რესურსები იმდენი გვაქვს, ექიმიც კი შეგვიძლია გავზარდოთ. ელექტრონული რესურსებიც გვაქვს, სტუდენტებს ინდივიდუალური კომპიუტერებითაც უზრუნველვყოფთ, სადაც მოდულების მიხედვით არის ჩატვირთული სასწავლო რესურსები.

რესურსების გარდა, პროფესიული სასწავლებლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კარგი პედაგოგები. თუ ნახავთ ასეთ პედაგოგს, ხელი არ უნდა გაუშვათ.

შეიძლება იყო გადასარევი ვეტერინარი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ კარგი პედაგოგიც იქნები. პედაგოგობა კიდევ სხვა ცოდნას და უნარებს გულისხმობს. ამიტომაც ერთ სტუდენტს, რომელზეც ვფიქრობ, რომ კარგი მასწავლებელი იქნება, შევთავაზე, დარჩენილიყო კოლეჯში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უკვე გამოცდილმა მასწავლებლებმა ახალი კადრებიც გავზარდოთ. ძველი, გამოცდილი კადრების და ახალგაზრდა, ენერგიით სავსე და თანამედროვე უნარების მქონე ადამიანების კავშირი ყოველთვის უფრო შედეგიანია.

თქვენ, როგორც გამოცდილი და პროფესიონალი, რას ურჩევდით მომავალ ვეტერინარებს?

– რამდენი წელია, ვმუშაობ, ვასწავლი და მაინც სულ რაღაცას ვეძებ, რაღაცას ვკითხულობ, იმას ვფიქრობ, როგორ გავაუმჯობესო პროგრამაც, მეთოდებიც, რა გავიგო ახალი. ზოგ სოფელში საერთოდ არ არის აფთიაქი და ისიც უნდა ასწავლო სტუდენტებს, გამოუვალ მდგომარეობაში რა გააკეთოს „გლეხურად“, არაფრის პირობებშიც რომ უმკურნალოს ცხოველს და არ დატოვოს უპატრონოდ.

ჩემი მთავარი მამოძრავებელი არის ჩემი საქმის სიყვარული. სტუდენტებსაც ამას ვეუბნები, რომ ამ საქმეში მთავარი საქმის და ცხოველების სიყვარულია.

ვეტერინარობაზე მეოცნებე თათია მურღუევი – ხევსურეთიდან შვეიცარიულ აგრარულ სკოლაში

შორენა ტყეშელაშვილი

თათია მურღუევი პროფესიული სასწავლებლის სტუდენტია. 18 წლამდე ის ხევსურეთში, სოფელ ჭალისსოფელში ცხოვრობდა და სკოლაც იქვე დაამთავრა. თათია 14 წლიდან ოცნებობდა, გამხდარიყო ვეტერინარი და თავისი ცოდნით დახმარებოდა სოფელს. სკოლის დამთავრების შემდეგ მან დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ სარკინეთში ახლად გახსნილ შვეიცარიულ აგრარულ სკოლა „კავკასიაში“ ჩააბარა. ცხოველებთან ურთიერთობა მას ბავშვობიდან მოსწონს და აგრარულ სკოლაში ჩაბარების მიზანიც ის იყო, რომ კიდევ უფრო სიღრმისეულად შეესწავლა ისინი და სრულფასოვნად დაუფლებოდა ფერმერის სპეციალობას. ხევსურეთის სოფელში, სადაც ბავშვობა გაატარა, მარტოობა და მოწყენილობა არასდროს უგრძნია, ამაში კი ცხოველებთან ურთიერთობა, მათზე ზრუნვა, მათთან ერთად გართობა ეხმარებოდა.

„როდესაც გავიგე, რომ შვეიცარიული აგრარული სკოლა „კავკასია“ იხსნებოდა დმანისში, მაშინვე გადავწყვიტე, ჩამებარებინა და ფერმერის სპეციალობაზე მესწავლა. მართალია, ბავშვობიდან ვეტერინარობა მინდოდა და ამ სპეციალობაზე მქონდა გადაწყვეტილი სწავლა, მაგრამ როდესაც ეს ამბავი გავიგე, ძალიან მიმზიდველი იყო ჩემთვის და გადავწყვიტე, უარი არ მეთქვა. ჩავაბარე გამოცდები, გავიარე გასაუბრება შვეიცარიული მხარის და ქართული მხარის წარმომადგენლებთან და ჩავირიცხე სკოლაში. სწავლა რვა ნოემბერს დაიწყო, სულ ორი თვეა, აქ ვარ და ძალიან მომწონს აქაურობა“.

შვეიცარიულმა აგრარულმა სკოლამ წელს პირველად მიიღო სტუდენტთა ნაკადი. „კავკასია“ არაკომერციული პროექტია, რომელიც ხორციელდება შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან (SDC) ერთად, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. თათია სკოლის ორწლიან პროგრამაზე სწავლობს, რომელიც შვეიცარიული მოდელის მიხედვით, სამუშაოზე დაფუძნებული, დუალური სწავლების პრინციპზეა აგებული. სასწავლებელს საკუთარი საწარმოო ბაზებიც აქვს, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ადეკვატური ხარისხის განათლება მიიღონ. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, სასწავლებელთან არსებულ კამპუსში იცხოვრონ.

თათიას პროფესიული არჩევანის გაკეთების დროს ოჯახისგან სრული მხარდაჭერა ჰქონდა. მშობლები ეხმარებოდნენ, სურვილები სინამდვილედ ექცია. ასეთი ერთსულოვანი განწყობით გადაწყვეტილების მიღებაც არ აღმოჩნდა რთული.

„ოჯახში იცოდნენ ჩემი არჩევანის შესახებ, ჩართულები იყვნენ ყველანაირად ამ საკითხის განხილვისას და ძალიან დიდი მხარდაჭერა ვიგრძენი თავიდანვე. როცა მშობლებს ვუთხარი, რომ ვეტერინარობა გადავწყვიტე, დადებითად შეხვდნენ ჩემს გადაწყვეტილებას, რადგან ხედავდნენ, რომ ძალიან მონდომებული ვიყავი“, – ამბობს თათია ჩვენთან საუბრისას.

როგორც პროფესიულ განათლებაში ჩართული ადამიანები ამბობენ, ვეტერინარის პროფესია და ამ პროფესიის კადრი საკმაოდ დეფიციტურია შრომის ბაზარზე. თათიამ თავიდანვე იცოდა ამის შესახებ, რადგან ხევსურეთში, მის სოფელში ვეტერინარებს რაიონიდან უწევდათ ასვლა, რომ დაავადებული პირუტყვისთვის ემკურნალათ. თათია ამბობს, რომ სეზონურად სხვადასხვა დაავადება ვრცელდება ცხოველებში და ადგილზე ვეტერინარის არყოფნა იმას ნიშნავს, რომ პირუტყვი მოკვდება და ვერავინ უშველის.

თათია მურღუეკი.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

„ჩვენს სოფელში ამოსულ ვეტერინარებთან ხშირად ვსაუბრობდი ცხოველების თემაზე, დაავადებების მართვაზე. როცა გაიგეს, რომ ინტერესი მქონდა ამ სფეროს მიმართ, ხშირად ვიღებდი მათგან რჩევებს და ინფორმაციას, როგორ უნდა მომევლო და მიმექცია ყურადღება წამლების და მკურნალობის მხრივ პირუტყვისთვის. მათგან ისიც შევიტყვე, რომ ახალგაზრდა კადრების დეფიციტია ამ სფეროში და დაინტერესებაც ნაკლებია, რომ გააგრძელონ ეს საქმიანობა“.

თათია სასწავლებელში ცხოვრებასა და სწავლის პროცესზეც გვიყვება. კვირაში ექვსი დღე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს, აქედან სამი დღე საწარმოო პრაქტიკაა, ხოლო დანარჩენი სამი დღე თეორიულ ნაწილს ეთმობა. პრაქტიკას სასწავლებლის ფერმაში გადიან, სადაც შვეიცარიული ჯიშის ძროხები ჰყავთ. სტუდენტები სწავლობენ მათ მოწველას, მოვლას და გამოკვებას. ამას გარდა გეოგრაფიასა და მათემატიკასაც სწავლობენ. თათია გერმანულ ენასაც სწავლობს სასწავლებელში, რომ სკოლის პარტნიორ შვეიცარიულ მხარესთან, შვეიცარიელ ლექტორებთან უფრო იოლად აწარმოოს კომუნიკაცია.

„თბილისიდან შორს, სუფთა ჰაერზე ვსწავლობთ და თან ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვისვენებთ კიდეც. უშუალოდ გვაქვს შეხება ჩვენს მომავალ პროფესიასთან და ეს ბევრ რამეში გვეხმარება, რომ განვივითაროთ შესაძლებლობები და მივიღოთ კარგი პროფესიული ცოდნა. აქ ყოფნა მეხმარება, რომ ვიყო კონცენტრირებული ჩემს საქმეზე და მართლაც ისეთი გარემოა, რომ შეუძლებელია სხვა რამეზე გადაიტანო ყურადღება. არის დღეები, როცა პრაქტიკა არ გვაქვს, მაგრამ მაინც ჩავდივართ ფერმაში, რომ დავეხმაროთ ფერმის თანამშრომლებს, რადგან ეს ძალიან გვსიამოვნებს და გვაინტერესებს. სტუდენტებს ერთმანეთთან ძალიან თბილი და მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს, უმეტეს დროს ერთად ვატარებთ და ეს ძალიან კარგია“, – გვიზიარებს თათია სასწავლებლის გარემოს უპირატესობებს.

გეგმებზე ჯერ ადრეა ლაპარაკიო, – ამბობს ის, მაგრამ სამომავლოდ, როდესაც დარგის სპეციალისტად ჩამოყალიბდება, ხევსურეთზე ზრუნვასაც ფიქრობს. მისი აზრით, ხევსურეთს მესაქონლეობის განვითარების პოტენციალი აქვს და წუხს, რომ მისი კუთხე დღეს მიტოვებული და დაცლილია.

„ჯერ ზუსტად არ ვიცი, რისი გაკეთება მინდა, მაგრამ აუცილებლად გავაკეთებ ისეთ რამეს, რაც დაეხმარება ჩემს კუთხეს ამ მიმართულებით განვითარებაში“, – ამბობს ის.

რას ფიქრობთ პროფესიულ განათლებაზე, რამდენად ცვლის ის ადამიანების ცხოვრებას? – ვეკითხები ინტერვიუს ბოლოს მომავალ ფერმერს.

ადამიანი რასაც მოინდომებს, ყველაფერს გააკეთებს. მთავარია, რასაც აირჩევ, ის საქმე გიყვარდეს. ამიტომ სწორად და დაფიქრებით უნდა შევარჩიოთ პროფესია. ჩემს შემთხვევაში ასე იყო, მე ძალიან მაინტერესებდა და მომწონდა საქმე, რომელსაც ახლა ვსწავლობ. პროფესიული განათლება ეხმარება ახალგაზრდებს, რომ უფრო სასარგებლო კუთხით დაინახონ რაღაცები, მიიღონ განათლება, აირჩიონ მოკლევადიანი ან გრძელვადიანი პროგრამა და ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად. ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა აქაურმა სასწავლო გარემომ და ადამიანებმა, ამიტომ უფრო დიდი სიხარულით ვაგრძელებ სწავლას.

როგორ ფიქრობთ, თქვენი არჩევანი მოგიტანთ კმაყოფილებას ცხოვრებაში?

რა თქმა უნდა. ახლაც ისეთი კმაყოფილი ვარ, შეუძლებელია, რამდენიმე წლის შემდეგ კმაყოფილი არ ვიყო ჩემი პროფესიული არჩევანით და გადაწყვეტილებით.

ექთნები პროფესიულ განათლებაში – გამოწვევები და პერსპექტივები

შორენა ტყეშელაშვილი

დაბალი ანაზღაურება და კარიერული წინსვლის არარსებობა – სპეციალისტები ამ ორ ძირითად მიზეზს ასახელებენ, რის გამოც ჰოსპიტალური სექტორი ექთნის პროფესიაში კადრების შენარჩუნებას ვერ ახერხებს. კორონავირუსის პანდემიამ მთელ მსოფლიოში ექთნების დეფიციტი გამოიწვია და საქართველოც ამ გამოწვევის წინაშე დგას. „ექთნის მძიმე და საპასუხისმგებლო შრომა არ არის სათანადოდ ანაზღაურებული და სწორედ ეს გახლავთ პროფესიიდან კადრების გადინების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი", – ამ აზრზე თანხმდება ჟურნალ „პროფესიული განათლების" სამივე სტუმარი: საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას" დამფუძნებელი და დირექტორის მოადგილე მაია ჩიხლაძე, ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის დირექტორი რევაზ ჯორბენაძე და ამავე კლინიკის მთავარი ექთანი და საქართველოს ექთნების ასოციაციის ხელმძღვანელი ქეთევან გარსევანიშვილი. ჩვენი რესპონდენტები საუბრობენ კადრების დეფიციტით გამოწვეულ მდგომარეობაზე, ექთნის პროფესიის სამომავლო პერსპექტივაზე და იმაზე, თუ როგორ პასუხობს პროფესიული განათლება ექთნების მომზადების დანაკლისს.

ქალბატონო მაია, თქვენ ხართ საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას" დამფუძნებელი, სადაც მიმდინარეობს ექთნების მომზადების პროფესიული პროგრამა. როგორც ცნობილია, ექთნების დეფიციტი არ არის მხოლოდ ლოკალური პრობლემა და ზოგადი ტენდენციაა. გვესაუბრეთ, როგორ პასუხობს პროფესიული განათლების სისტემა ექთნების მომზადების დანაკლისს და რა გამოწვევები არსებობს ამ კუთხით ჩვენს ქვეყანაში?

მაია ჩიხლაძე: 1994 წლიდან ვმუშაობ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელსაც ამჟამად ეწოდება საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა". ჩვენი კოლეჯის ძირითადი მიმართულება ათეული წლების მანძილზე იყო და რჩება ჯანდაცვის მიმართულების პროფესიული პროგრამების განხორციელება. ამ პროგრამებს შორის განსაკუთრებული მოთხოვნა ისევ საექთნო საქმის პროგრამაზეა. წლების მანძილზე იცვლებოდა მისი დასახელება, მოცულობა და დღეს ის წარმოადგენს 180 კრედიტის მოცულობის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას – საექთნო განათლება, რომელიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეზეა განთავსებული (ევროპული საკვალიფიკაციო სისტემის ჩარჩოს მსგავსად).

იქმნება საექთნო სფეროში არსებული პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის ევროპულ საგანმანათლებლო სისტემასთან თავსებადობა და კვალიფიკაციების ურთიერთაღიარების შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებს მომავალში საექთნო პერსონალის საერთაშორისო მობილობასა და დაახლოებას.

საექთნო განათლება საქართველოში უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლების ფორმატით მიმდინარეობს. თუმცა დღეს საქართველოს ჯანდაცვის სისტემა კვალიფიციური, საექთნო საქმის თანამედროვე კონცეფციის მცოდნე ექთნების მწვავე დეფიციტს განიცდის.

საექთნო პროფესიის განვითარების გამოწვევებს შორის აღსანიშნავია: პირველი – კარიერული წინსვლის არარსებობა, რისთვისაც

მაია ჩიხლაძე. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

საჭიროა, შემუშავდეს ე.წ. „ხიდი“ პროგრამა და ნორმატიული დოკუმენტები, რომლებითაც მე-5 დონის პროფესიული პროგრამის სწავლის შედეგების უმაღლესში, მე-6 დონის საბაკალავრო პროგრამაზე აღიარების შესაძლებლობა შეიქმნება; მეორე – ექთნის დაბალი ანაზღაურება, რაც დასაქმებული კადრების მასიურ გადინებას იწვევს სისტემიდან. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობს „საექთნო/საბებიო განათლების ეროვნული საბჭო“, რომლის ერთ-ერთი წევრი მეც ვარ. შემუშავებულია „საექთნო/საბებიო სფეროში პროფესიული რეგულირების მდგრადი სისტემის განვითარების სამოქმედო გეგმა“, რომელიც, იმედი მაქვს, მომავალი წლის დასაწყისიდან ამოქმედდება.

ინფორმაციისთვის, ევროპის რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნებში ერთ ექიმზე საშუალოდ 2-2.7 ექთანი მოდის და ეს მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ექიმების რაოდენობა ჭარბობს ექთნების რაოდენობას და ექთნების რაოდენობის ექიმების რაოდენობასთან შეფარდება ბოლო 5 წლის განმავლობაში არ აღემატება 0.8-ს.

ასევე, პროფესიული განათლების პროვაიდერებისთვის დიდ გამოწვევას ქმნის: საექთნო განათლების მქონე პედაგოგების სიმცირე; კლინიკური პრაქტიკის მენტორების სიმცირე; საექთნო თეორიული და პრაქტიკულ-კლინიკური სწავლების მეთოდების ცოდნის სიმცირე.

როგორი იყო სტუდენტების დაინტერესება წელს საექთნო განათლებით, რა ღირს სწავლა კოლეჯში და როგორ ხდება შემდგომ დასაქმება?

საქართველოში 2013 წლიდან 2019 წლამდე საექთნო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა იყო 1881, ხოლო 2019 წლისათვის პროფესიულ პროგრამებზე სწავლობდა 1765 სტუდენტი.

საექთნო პროფესიულ პროგრამებზე მოთხოვნა უკანასკნელ წლებში მცირედ გაზრდილია და 2021 წლის მონაცემებით, საქართველოში მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (როგორც პროფესიულ, ასევე საბაკალავრო დონეზე) სწავლობს 2300-მდე სტუდენტი. 2021 წელს საექთნო პროგრამაზე გამოცხადებულ 1168 ადგილზე ჩაირიცხა 831 პროფესიული სტუდენტი. ეს კონტინგენტი მცირეა ქვეყანაში არსებული დეფიციტის შესამცირებლად. კვლევების მიხედვით, სასურველი შედეგის მისაღწევად ყოველწლიურად 1200 სტუდენტი მაინც უნდა ირიცხებოდეს 100000 მოსახლეზე საქართველოს მასშტაბის ქვეყნისთვის.

რაც შეეხება შეკითხვას, რა ღირს სწავლა საექთნო პროგრამაზე? ორი წელია, საექთნო განათლების პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ეროვნული პროფესიული ტესტირებით. პროგრამა სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად არის დასახელებული და შესაბამისად, ფინანსდება სახელმწიფო ვაუჩერით. როგორც ხედავთ, სტუდენტებისთვის სწავლა უფასოა.

დასაქმების მაჩვენებელი – სწავლის პროცესში პროფესიული სტუდენტები კლინიკურ სწავლებას, 90 კრედიტის მოცულობით, კოლეჯების პარტნიორ სხვადასხვა დარგობრივ კლინიკაში ეუფლებიან. შესაბამისად, მათი დიდი ნაწილის დასაქმება ხდება სწავლის პროცესში, რადგანაც ჩვენი პარტნიორი

კლინიკები ასევე განიცდიან ექთნების დეფიციტს. რაც შეეხება კურსდამთავრებულთა დასაქმებას, სულ ცოტა, 85-90%-ია.

დაინტერესებულმა პირებმა პროგრამების შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია იხილონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე www.mes.gov.ge, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე www.eqe.ge. პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია საექთნო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებგვერდებზეც.

რევაზ ჯორბენაძე. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

ბატონო რევაზ, მედდების დეფიციტის პირობებში, როგორია დამსაქმებლისა და ჰოსპიტალური სექტორის მდგომარეობა?

რევაზ ჯორბენაძე: დღეს განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა შრომით ბაზარზე და კლინიკებს ნამდვილად გვიდგას კვალიფიციური ექთნების დეფიციტი. მინდა, აღვნიშნო, რომ პანდემიის პირობებში ექთნებზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდა და საკმაოდ გვიჭირს კადრების მოძიება. თუ პანდემიამდე ვაკანსიის გამოცხადების შემდეგ რამდენიმე დღეში ბევრი მსურველი ჩნდებოდა და გვქონდა კვალიფიკაციის, გამოცდილების და ცოდნის მიხედვით არჩევის შესაძლებლობა, დღეს უკვე საკმაოდ ჭირს ექთნის მოძებნა და ერთიორი კვირა შესაძლოა არ გამოჩნდეს ვაკანსიით დაინტერესებული კადრი, მიუხედავად იმისა, რომ კარგ და კონკურენტულ პირობებს ვთავაზობთ ანაზღაურებისა თუ შრომის თვალსაზრისით, ვუფინანსებთ პროფესიული გადამზადების და ცოდნის ამაღლების ტრენინგებს და ა.შ.

როგორ გესახებათ სამომავლოდ ექთნებთან დაკავშირებული პოლიტიკა, რომ ეს დეფიციტი აღმოიფხვრას?

პირველ რიგში, სამედიცინო სასწავლებლებმა უნდა გაზარდონ ექთნების რაოდენობა, შრომის ბაზარზე ექთნის ხელფასი უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ახლაა, რადგან მისი შრომა არის ძალიან მძიმე და დიდ პასუხისმგებლობას უკავშირდება. ადამიანს ურჩევნია, უფრო ნაკლებად მძიმე სამუშაო ნახოს, თუნდაც ნაკლები ანაზღაურებით, ვიდრე ასეთ საპასუხისმგებლო სამუშაოზე იმუშაოს. ამიტომ თუ იქნება საშუალება, კლინიკებმა უნდა მისცენ უფრო მეტი ანაზღაურება ექთნებს, რომ ეს შრომით ბაზარზეც მეტ-ნაკლებად დარეგულირდეს.

ქალბატონო ქეთევან, რა ფუნქციები აქვს ექთნების ასოციაციას და რა მდგომარეობაა ექთნების დასაქმებისა და ანაზღაურების კუთხით საქართველოში?

ქეთევან გარსევანიშვილი: მინდა, ისტორიით დავიწყო: 1995 წელს დავაფუძნეთ ექთნების ასოციაცია საქართველოში და მეც ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ. ასოციაცია დაარსდა ამერიკელი პარტნიორების ხელშეწყობითა და დახმარებით. მაშინ ძალიან დიდი პროექტი იყო ექთნებთან დაკავშირებით საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის და სწორედ სამედიცინო პროექტის ფარგლებში მოხდა ამ ასოციაციის დაფუძნება. ჩვენი ამერიკელი პარტნიორები დღემდე ჩვენი ასოციაციის წევრები არიან და ვთანამშრომლობთ.

ქეთევან გარსევანიშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

რაც შეეხება ასოციაციის ფუნქციებს, ძალიან მრავალმხრივია – ექთნების ადვოკატირებიდან დაწყებული და პოსტდიპლომური უწყვეტი განათლების პროგრამების შექმნით და განხორციელებით დამთავრებული. როდესაც წავაწყდით მრავალ პრობლემას საექთნო სფეროში, გავაკეთეთ კვლევა საექთნო საქმის პრობლემების იდენტიფიცირებაზე – რომ ეს არ ყოფილიყო ორგანიზაციის სუბიექტური მოსაზრება, არამედ ყოფილიყო ობიექტურ კვლევებზე დაფუძნებული პრობლემების ანალიზი. კვლევებმა დაადასტურა, რომ საექთნო სფეროს უმთავრესი პრობლემა იყო ხელფასების პრობლემა, ასევე ექთნები ბრმად აწერდნენ ხელს სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტებს. ჩვენ არა მარტო ექთნების საკითხი გამოვიკვლიეთ, არამედ მენეჯერებისა და ექიმებისაც. მენეჯერების მცირე პროცენტი საერთოდ არ თვლიდა აუცილებლად, რომ საექთნო დიპლომი ჰქონოდა ადამიანს. ამან, რა თქმა უნდა, ჩვენი პროტესტი გამოიწვია.

ბევრ ქვეყანაში მინახავს ექთნების შრომა, განსაკუთრებით გერმანიაში დავრჩი აღფრთოვანებული მათი შრომითა და ავადმყოფის მოვლის ხარისხით. მსურს, რომ ჩვენს მოქალაქეებს ჰქონდეთ ასეთი ღირსეული სამედიცინო მოვლა, რასაც ყველა ადამიანი იმსახურებს. ასოციაციის ერთ-ერთი მიზანი იყო, სწორედ ამისთვის მიგვეღწია. ამასობაში შეიქმნა საექთნო საქმის განვითარების ეროვნული საბჭო ჯანდაცვის სამინისტროში, რომლის წევრიც გახლავთ ასოციაცია და იქ გავაცანით ჩვენი პრობლემები. ის, რასაც ვერ იტვირთავდა ასოციაცია, ვთხოვეთ, რომ სახელმწიფოს თავისი პოლიტიკის ნაწილად ექცია და ამ პრობლემებზე ემუშავა.

ექთნების ასოციაციამ პასუხისმგებლობა აიღო, შეექმნა საექთნო პროტოკოლები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკოსი ექთნებისათვის და არა მარტო მათთვის. ეს გამოადგებათ სტუდენტებსაც, რადგან მათზე დაყრდნობით ვასწავლით მანიპულაციებს, რომლებიც მნიშვნელოვანია პრაქტიკის სფეროში. შევადგინეთ საექთნო პროტოკოლები და ვიმუშავეთ დიპლომის შემდგომ კურსებზეც, რომლებსაც ასევე წარმატებით ახორციელებს საქართველოს ექთნების ასოციაცია. ვმუშაობთ საექთნო საქმის განვითარების ეროვნულ ჩარჩოზეც, შევიმუშავეთ ეთიკის კოდექსი, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის გამოცდილება გამოვიყენეთ. ასევე ვცდილობთ, დიპლომის შემდეგ უწყვეტი განათლების ჩამოყალიბებაზეც ვიზრუნოთ, რადგან ექთანი ამას თავისი მცირე ფინანსური შესაძლებლობით ვერ უზრუნველყოფს. თანაც მას ხომ მოტივაცია არ გააჩნია, თანხა გადაიხადოს კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რადგან არ აქვს ხელფასის მატების და კარიერული წინსვლის პერსპექტივა. ამ საკითხსაც სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან ყურადღება.

გავაკეთეთ ნეონატოლოგების რეფერირების პროგრამა და ნამდვილად დაეტყო გაუმჯობესება ამ სფეროს ახალშობილთა რეანიმაციის ნაწილში, თუმცა გაჩნდა კადრების პრობლემა. თუ ადრე კადრების ხარისხობრივ დეფიციტზე ვლაპარაკობდით, ნელ-ნელა რაოდენობრივი დეფიციტის პრობლემაც გაჩნდა. ეს საკითხი კიდევ უფრო გამწვავდა, რაც ექთნების საზღვარგარეთ მიგრაცია დაიწყო. ამის მერე სულ ვფიქრობთ, როგორ დავაინტერესოთ და შემოვიყვანოთ ისინი პროფესიაში.

კულინარიული კონკურსი და რჩეული კულინარები

კოლეჯ „იკაროსში“ კულინარილი კონკურსი ჩატარდა. კონკურსის ჩატარების ინიციატორი თსუ მედიისა და ტელე-ხელოვნების კოლეჯის დირექტორი, ზურაბ ოშხნელი და კოლეჯ „იკაროსის დირექტორი, რუსუდან ჩართოლანი იყვნენ.

კონკურსისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან კულინარიული მიმართულების პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები ჩამოვიდნენ და კოლეჯებში მიღებული პრაქტიკული გამოცდილება ფართო აუდიტორიას გაუზიარეს. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ: „იკაროსი“, „მერმისი“, „ბლექსი“, „ახალი ტალღა“, „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი“, „აისი“ და „ჰორიზონტი“.

კონკურსის თემა საახალწლო კერძი იყო. მონაწილეების მიერ მომზადებული კერძები კომპეტენტურმა ჟიურიმ დააგემოვნა. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი, გასტრონომიული მუზეუმის დამფუძნებელი ესმა კუნჭულია და შეფი თინა ვაშაკიძე.

კონკურსის ბოლოს ჟიურიმ გამარჯვებული გამოავლინა. კონკურსის გამარჯვებული კოლეჯ „მერმისის“ სტუდენტი, ნანა ნანავა გახდა, რომელსაც მედიისა და ტელე-ხელოვნების კოლეჯის დირექტორმა, ზურაბ ოშხნელმა საჩუქრად მზარეულის დანა გადასცა.

მიუხედავად იმისა, რომ კონკურსს ერთი გამარჯვებული ჰყავდა, ჟიურის წევრებმა თავიანთი ფავორიტი მონაწილეები გამოავლინეს და თითოეულმა მათგანმა ინდივიდუალური საჩუქრები მიიღო.

თამარ ქიტიაშვილმა ყველა მონაწილეს გადასცა საჩუქარი და მისი რჩეული გახდა კოლეჯ „იკაროსის“ კონკურსანტი.

შეფ თინა ვაშაკიძის რჩეული გახდა 2 კონკურსანტი – კოლეჯ „მერმისის“ და კოლეჯ „აისის“ კონკურსანტები, რომლებიც ასევე გაივლიან სტაჟირებას რესტორანში.

შეფ ესმა კუნჭულიამ თავის 2 ფავორიტს, კოლეჯ „ჰორიზონტის“ და კოლეჯ „ბლექსის“ კონკურსანტებს საჩუქრად საათები გადასცა.

კონკურსის მიმდინარეობა თსუ მედიისა და ტელე-ხელოვნების კოლეჯის სტუდენტი ფოტოგრაფების, ოპერატორების, ჟურნალისტებისა და რეჟისორების საშუალებით ფოტოებსა და ვიდეოზე აღიბეჭდა.

ექ ფეისბუქზე იყოს
თქვენი
რეკლამა

„აკეთეთ მხოლოდ ის, რაც ყველაზე მეტად გიყვართ. ეს აუცილებლად მიგიყვანთ წარმატებამდე. ყოველ დღე მე ვუყურებდი ჩემს თავს სარკეში და ვეკითხებოდი: დღეს რომ ჩემი ცხოვრების ბოლო დღე იყოს, მენდომებოდა თუ არა იმის გაკეთება, რაც დღეს უნდა გავაკეთო? და თუ პასუხი რამდენიმე დღის განმავლობაში იქნებოდა „არა“, ეს ნიშნავდა, რომ რაღაც უნდა შემეცვალა“.

სტივ ჯობსი